ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 25 ივნისი, 2019 | №148 (8102) | ფასი: 60 თეთრი

პოროშენკო: „უკრაინელებო, დასასვენებლად აუცილებლად წადით საოცარ და მზიან საქართველოში!“



გვ.3

25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

„მე მიყვარს კითხვა“




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# განხეთქილება „ოცნებაში“ — დეპუტატების ნაწილი გახარიას გადადგომას ითხოვს





გვ.2

## მაჟორიტარები ივანიშვილს დაუპირისპირდნენ

## ირაკლი ოქრუაშვილი: „ივანიშვილი თაღლითური გზით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას“



გვ.3

### კახა კოჟორიძე: „გახარიას ქმედებებში დანაშაულის ნიშნები შეიძლება გამოიკვეთოს“

გვ.3





გვ.4

### პაატა დავითაია: „პარლამენტმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე შეიძლება უარი თქვას“

### ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიციის ლიდერების დაჭერა არეულობას გამოიწვევს“



გვ.4

„სააკაშვილს ვერ დავეთანხმები, საჭიროა თანამშრომლობა პროპორციულზე გადასასვლელად“



გვ.5

### რუსეთში საქართველოს წინააღმდეგ სხვა სანქციებს და ქართველი ფეხბურთელების დასჯას მოითხოვენ

## სამართალი

გვ.7



სააპელაციო სასამართლომ 20 ივნისის აქციაზე დაკავებული 6 პირი სამართალდამრღვევად ცნო



სიძის განზრახ მკვლელობის ბრალდებით სიმამრი დააკავეს



რიყეზე ძლიერმა ქარმა კონსტრუქცია ჩამოშალა

## ეკონომიკა

გვ.6

„რუსული სანქციის“ ქვეშ მოყოლილი ღვინის კომპანიები აცხადებენ, რომ „როსპოტრებნადზორი“ ტყუის



ეკონომიკის მინისტრი ტურიზმის სექტორის რეკომენდაციებს ელოდება



იანვარ-მაისში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 138.7%-ით გაიზარდა



ISSN 1987-9385

5 მამუკა მდინარაძე: „რას ნიშნავს, გახარია ვერ შემოვა დარბაზში?!“

7 პროკურატურამ აქციაზე სამართალდამცავთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

5 რომან გოცირიძე: „გიორგი გახარიას პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესვლის უფლებას არ მივცემთ“

6 „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს სამოქმედო გეგმის წარდგენის რეკომენდაციას აძლევს

# განხეთქილება „ოცნებაში“ — დეპუტატების ნაწილი გახარიას გადადგომას ითხოვს

## მაჟორიტარები ივანიშვილს დაუპირისპირდნენ

შორენა მარსაგიშვილი

გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ მმართველი პარტიის რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა და რაც მისთვის ყველაზე უფრო მძიმეა, „ოცნებაში“ სერიოზული დაპირისპირება დაიწყო, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდება.

სიტუაციის შემობრუნებას ამაოდ ცდილობს პარტიის მამამარჩენალი. საქმეს ვეღარც დახურული და ვეღარც ღია სხდომები შველის. მმართველ პარტიაში უკვე ღიად ბედავენ ბიძინა ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წასვლას.

თავისი პოლიტიკური მრევლის გარდა, მთავარი მეოცნებე უცხოელებსაც ხვდება, ისინი მისგან კარგა ხანია ითხოვენ, რომ ხელისუფლებიდან წავიდეს.

„ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ ამერიკელებმა ივანიშვილს მაჟორიტარული სისტემის გაუქმება მოსთხოვეს, რაზეც მთავარი მეოცნებე კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ის თანახმა იყო ვადამდელი არჩევნების, მაგრამ ვერ ელეოდა მაჟორიტარებს. საამისოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა. მაჟორიტარებს არც ახლა შეელეოდა, მაგრამ გავრილოვის ღამემ ის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ის იძულებული გახდა, პროპორციულ სისტემას დათანხმებოდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ოპოზიცია ითხოვდა.

ამ ინიციატივაზე ოდნავ მოგვიანებით, გუშინ, 24 ივნისს, კი მეოცნებეთა დახურულ თავყრილობაზე კიდევ ერთი საკითხი განიხილეს.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოება და ოპოზიცია შს მინისტრის გადადგომას ითხოვს. 24 ივნისის საიდუმლო სერობაზე დიდხანს იმსჯელეს, უნდა წასულიყო თუ არა გახარია.

საჯარო განცხადებებში „ოცნების“ წევრები ამბობენ, რომ შს მინისტრი პოსტზე უნდა დარჩეს. პირად საუბრებში კი მედიასთან არ მალავენ, თუ რა დაპირისპირება მოჰყვა ამ საკითხის განხილვას.

მმართველ პარტიაში გახარია დიდად აქამდეც არ მოსწონდათ. გავრილოვის სისხლიანი ღამის შემდეგ ამ ადამიანებს მინისტრისთვის სამაგიეროს გადახდის საშუალება მიეცათ.

ზოგიერთი მათგანი მართლაც გულწრფელად იყო აღშფოთებული 20-21 ივნისის სისხლიანი ღამით. ისინი აცხადებენ, რომ შს მინისტრმა ამის შემდეგ თანამდებობა უნდა დატოვოს.

მმართველი პარტიიდან გამოჟონა ინფორმაციამ იმის შესახებაც, რომ გახარიას მიმართ პრემიერ მამუკა ბახტაძესაც ჰქონდა პრეტენზიები. მამუკა ბახტაძე პოლიციის ქმედებების გამო ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

20 ივნისს ღამით პრემიერმა გააკეთა საგანგებო განცხადება, რომ „ოცნება“ აქციებს ცრემლსადენი გაზით და რეზინის ტყვიებით არ შლის. ამ განცხადებიდან ზუსტად 7 წუთში კი რუსთაველზე საშინელება დაიწყო.

მამუკა ბახტაძე მიიჩნევს, რომ ამის გამო გახარიამ განმარტებებიც უნდა გააკეთოს და პასუხისმგებლობაც აიღოს.

საჯაროდ „ოცნებამ“ შს მინისტრს ღია მხარდაჭერა გამოუცხადა, კულუარებში კი სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღო.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ყვება, რომ გახარიას თავი მომავალი გართულებებისთვის შემოინახეს.

მათ იმედი აქვთ, რომ უკმაყოფილება მინელდება და ხალხს ეს ამბავი დაავიწყდება. იგეგმება რამდენიმე სპეცრაზმელის დასჯა. რამდენიმეს უკვე შეუჩერდა უფლებამოსილება.

28 ივნისს შს მინისტრი პარლამენტის წინაშე სიტყვითაც გამოვა. ის შეეცდება ყველა დაარწმუნოს თავის უცოდველობაში.

— ამას თუ ვერ შეძლებს და ხალხი არ დაწყნარდა, მაშინ გახარია წავა, — ამბობს ჩვენი წყარო.

ხალხის და ოპოზიციის დაწყნარება ივანიშვილმა პროპორციული სისტემით სცადა. მის განცხადებას, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება, დიდი ჟრიამული მოჰყვა.



ოპოზიციამ „ოცნების“ შეთავაზება დაგმო. მმართველ პარტიასთან დაახლოებული წყარო კი გვიყვება, რომ ივანიშვილის ამ განცხადების შესახებ ოპოზიციური პარტიები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული. კულუარულ საუბრებში ამ ინფორმაციას რამდენიმე დეპუტატიც ადასტურებს.

ოპოზიცია საჯაროდ ამ ინიციატივას გმობს, მათ გულებში რა ხდება, ძნელი სათქმელია. სამაგიეროდ, მაჟორიტარები არიან გულწრფელად გამწარებულები. ისინი იმუქრებიან, რომ ამ ცვლილებას მხარს არ დაუჭერენ.

— მაჟორიტარებმა პირდაპირ თქვეს, რომ ამ ცვლილებების წინააღმდეგი არიან. ამბობენ, რომ მათ ძალიან ბევრი ფული დახარჯეს და ასე იოლად არ დათმობენ თავიანთ მონაპოვარს, — გვიყვება „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო.

მაჟორიტარები ერთი შეხედვით ტოვებენ მხოლოდ ფულიანი ტომრების შთაბეჭდილებას, თორემ საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პროპორციულ სისტემაზე გადასვლას ვერ დაბლოკავდნენ.

„ოცნება“ გვპირდებოდა, რომ უკვე 2016 წლის არჩევნები ჩატარდებოდა პროპორციული სისტემით. დაიწყო კიდევაც ამ საკითხის განხილვა. მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას აქტიურად უჭერდა მხარს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე უსუფაშვილს მაჟორიტარმა კახა ოქრიაშვილმა პირდაპირ უთხრა, შენ მართლა სპიკერი ხომ არ გგონია თავი, თუ მოვინდომეთ, გადაგაყენებთო.

მოგვიანებით ისინი ივანიშვილთან ავიდნენ. მას ასეთი ტონით ლაპარაკს ვერ გაუბედავდნენ. ის სავარაუდოდ შთააგონეს, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არ უნდა ეჩქარათ.

ფულიანი ტომრების განაწყენებას ივანიშვილმა ხალხის განაწყენება არჩია, თავისი დაპირებაც უკან წაიღო და გვამცნო, 2024 წლამდე მაჟორიტარებს უნდა უყუროთო.

გუშინ, 24 ივნისს კი, გვაუწყა, მაჟორიტარები დამთავრდნენო. ამან მაჟორიტარები ძალიან გააბრაზა და ისინი საპასუხო შეტევისთვის ემზადებიან.

გულხელდაკრეფილი არც ივანიშვილია და ის ახალ ფულიან მხარდამჭერებს ეძებს. სავარაუდოდ, სწორედ ამას უკავშირდებოდა კვირას, გამთენიისას, 3 საათზე გამართული შეხვედრა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ცნობით, ივანიშვილთან ბიზნეს-ბომონდმა მოიყარა თავი.

კონკრეტულ ბიზნესმენთა ვინაობა მას არ დაუსახელებია, სამაგიეროდ, გუშინ, 24 ივნისს, იმავე წყაროსგან გავიგეთ, რომ ბიზნესმენებმა პარტიებთან უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები.



ბიზნესმენები მზად არიან, სიაში გამსვლელ ადგილზე ჩაწერის სანაცვლოდ, 1 მილიონი დოლარი გადაიხადონ.

### რას ნიშნავს ნულოვანი ბარიერი

ივანიშვილის შემოთავაზებამ ბევრი კითხვა გააჩინა. ნულოვანი ბარიერი საქართველოში ერთხელ უკვე იქნა გამოყენებული. ეს 1992 წელს მოხდა.

კონსტიტუციონალისტის, ყოფილი დეპუტატის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული წინადადება ჯერ კიდევ არ იძლევა ნათელ სურათს, საქართველოში როგორი საპარლამენტო არჩევნები იქნება, რადგან არაერთი დეტალია დასაზუსტებელი.

პირველ არხთან საუბარში ვახტანგ ხმალაძე ნულოვანი ბარიერის პირობებში პროპორციული საარჩევნო სისტემის დეტალებზე საუბრობს და განმარტავს, რომ თუ არჩევნებში მონაწილეობას ორი მილიონი მოქალაქე მიიღებს, 1 მანდატი იმ პარტიას ერგება, რომელსაც ხმას 14 ათასამდე მოქალაქე მისცემს.

— ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში ნათქვამია, რომ ზღურბლი არ იქნება, ანუ, იქნება ნულპროცენტიანი ზღურბლი. ეს იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც დავითვლით, რომელმა პარტიამ რამდენი ხმა მიიღო, 150 მანდატი მათ შორის გადანაწილდება პროპორციულად.

მათ შორის ვინ ხვდება? — ვისაც შეიძლება მანდატი ერგოს. ვინაიდან 150 მანდატია გასანაწილებელი, 1 მანდატის მისაღებად საჭიროა ხმების დაახლოებით 0,7 პროცენტის მიღება, ოდნავ ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ მანდატი ყველა იმ პარტიას შეხვდება, ვინც ამდენ ხმას მიიღებს.

მაგალითად, თუ არჩევნებში მონაწილეობა ორმა მილიონმა მოქალაქემ მიიღო, პარტიას, რომელიც 14 ათასამდე ხმას მიიღებს, 1 მანდატი შეხვდება. ვინც ორჯერ მეტ ხმას მიიღებს, 2 მანდატი შეხვდება. ნულპროცენტიანი ზღურბლი ამას ჰქვია, — აღნიშნავს ხმალაძე.

კითხვაზე, ნულპროცენტიანი ბარიერის პირობებში შესაძლებელია თუ არა საარჩევნო ბლოკებად გაერთიანება, ხმალაძე პასუხობს, რომ არაერთი დეტალია დასაზუსტებელი, მათ შორის ბლოკების საკითხი.

— ბლოკებად გაერთიანებაზე არაფერი თქმულა, მხოლოდ ის ითქვა, რომ პროპორციულ სისტემაზე გადავდივართ და ნულპროცენტიანი ზღურბლი იქნება. რაც დღეს კონსტიტუციაში წერია, ამით ბლოკებად შექმნა შეუძლებელია. რაც გარდამავალ დებულებაში წერია, ბლოკებად გაერთიანება შესაძლებელია ერთჯერადად, ოღონდ შერეული სისტემის პირობებში. ანუ, მაშინ, როცა მაჟორიტარული არჩევნები რჩება და ზღურბლი არის 3 პროცენტი.

შემოთავაზებული წინადადება ჯერ კიდევ არ იძლევა ნათელ სურათს, როგორი არჩევნები გვექნება, რადგან არაერთი დეტალია, რომელიც იქნება დასაზუსტებელი. მათ შორის ერთ-ერთი საკითხია ბლოკების საკითხი.

ასევე ეს ცვლილებები შეეხება მხოლოდ 2020 საპარლამენტო არჩევნებს, თუ რაიმე ცვლილება ძირითად დებულებაში მოხდება, სადაც 5 პროცენტიანი ზღურბლი წერია. ასევე მნიშვნელოვანია ის, თავად 0 პროცენტიანი ზღურბლი რამდენად არის სწორი, — განმარტავს კონსტიტუციონალისტი.

მთავარი მეოცნების შეთავაზება მთლად გასაგები არც ახალგაზრდა იურისტებისთვის არის.

საიაში განმარტავენ, რომ ბოლომდე ნათელი არ არის, პროპორციული საარჩევნო სისტემის რომელ მოდიფიკაციაზე საუბრობს მმართველი პარტია.

— 24 ივნისს მმართველი პარტიის თავმჯდომარემ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება სრულად პროპორციული წესით, ნულოვანი (ბუნებრივი) ბარიერით დააანონსა.

ამ განცხადებაში ბოლომდე ნათელი არ არის, პროპორციული საარჩევნო სისტემის რომელ მოდიფიკაციაზე საუბრობს მმართველი პარტია, მაგრამ ვინაიდან ყველაზე აქტუალური 150-ივე დეპუტატის ერთიანი პროპორციული სისტემით არჩევაა, საია ამ მოდელს შეაფასებს.

ბუნებრივი ბარიერის პირობებში პარტიებისთვის პარლამენტში 1 მანდატის მისაღებად საჭირო დაახლოებით 0.67%-იანი ბარიერის გადალახვა იქნება.

არ არსებობს უნაკლო საარჩევნო სისტემა და ზემოთ განხილულ ვერსიასაც გააჩნია სუსტი მხარეები. კერძოდ, ის ზრდის როგორც ფარდის უკან პარტიული გარიგებების, ისე გადაწყვეტილებების მიღების ტემპის შეჩერების ალბათობას, — აცხადებენ საიაში.

ყველაფრის მიუხედავად, შემოთავაზებულ სისტემას რამდენიმე უპირატესობა აქვს:

— 1. ფაქტობრივად ყველა ამომრჩეველს ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში, შედეგად „ჰაერში გაფანტული ხმების“ (ხმები, რომელთა ერთობლიობა არ არის საკმარისი ამ ხმების ადრესატი პარტიის მიერ ბარიერის გადასალახად) ოდენობა მინიმუმამდე მცირდება. მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 19.2% დაიკარგა, რაც იმას ნიშნავს რომ დღეს ყოველ მე-5 ამომრჩეველს პოლიტიკაში წარმომადგენელი არ ჰყავს;

2. პარტიების მიერ მიღებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობა და მათი ელექტორალური მხარდაჭერა თითქმის სრულად ემთხვევა ერთმანეთს, რაც ნიშნავს, რომ მინიმუმამდეა დაყვანილი შემთხვევა, როდესაც პარტიას მიღებული ხმების არაპროპორციული წარმომადგენლობა აქვს საკანონმდებლო ორგანოში. მაგ. 2016 წლის არჩევნებში მმართველმა გუნდმა ხმების 48.68% მიიღო, ხოლო მანდატების 76.7% ერგო;

3. ამგვარად ფორმირებული პარლამენტი მაქსიმალური სიზუსტით ასახავს ამომრჩევლის განწყობას. ბუნებრივი ბარიერი იძლევა შესაძლებლობას, საკანონმდებლო ორგანომ სარკისებურად, მაქსიმალური სიზუსტით ასახოს ის პოლიტიკური შეხედულებები, რაც საზოგადოებას აქვს.

— ეს არგუმენტები ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთისგან გამომდინარეობს, თუმცა, თავს იყრის მთავარ შედეგში: თითქმის არ რჩება საზოგადოების სეგმენტი, რომელიც მსჯელობის პროცესში არ არის ჩართული და რომლის პოზიციაც მაღალი ტრიბუნიდან არ ისმის.

ეს კი ზრდის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას და ხელს უწყობს სტაბილური პოლიტიკური პროცესების განვითარებას.

საია მოუწოდებს ხელისუფლებას, ფართო დისკუსიის საფუძველზე ბოლომდე მიიყვანოს დაანონსებული ცვლილებები.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ივანიშვილი თაღლითური გზით ცდილობს ხელისუფლების შენარჩუნებას“

– ივანიშვილს ყელში გამოჩხერილი ჰყავს სამი-ოთხი ადამიანი პოლიტიკური სპექტრიდან და ერთ-ერთი შეიძლება მათ შორის, მეც ვიყო და ყველაზე მეტად მას ყელში გამოჩხერილი ჰყავს „რუსთავი 2,“ – ეს განცხადება, პოლიტიკური მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელმა, ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა.

ირაკლი ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ეხმაურება, რომელმაც 20 ივნისის ღამეზე საუბრისას განაცხადა, რომ დამნაშავეების დასჯა მოხდება.

ოქრუაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერს ებრძვის. ამას გარდა, ის დარწმუნებულია, რომ 2020 წლის არჩევნებამდე ივანიშვილი „რუსთავი 2“-ზე მიიტანს შეტევას.

– ეს არის, პირველ რიგში, დროის გაწელვის მცდელობა, რათა მან ხელისუფლება შეინარჩუნოს, ეს არის პოლიტიკური პარტიების დაქსაქსვის მცდელობა და ეს არის მათთან ვაჭრობის მცდელობა. რაც შეეხება ივანიშვილის ზოგადად განწყობას და გადაწყვეტილებას, მას ყელში გამოჩხერილი ჰყავს სამი-ოთხი ადამიანი პოლიტიკური სპექტრიდან და ერთ-ერთი შეიძლება მათ შორის მეც ვიყო და ყველაზე მეტად მას ყელში გამოჩხერილი ჰყავს „რუსთავი 2“. შემდეგი წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ის შეტევას მიიტანს, როგორც 20 ივნისს ღამე მიიტანა შეტევა საკუთარ ხალხზე, შეტევას მიიტანს „რუსთავი 2“-ზე. ასე რომ, ყველანი უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად და მისი ეს კატა-თაგვობანას თამაში, ბოლოს ის კატას გამოთხრის, მე ამაში დარწმუნებული ვარ, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

„გამარჯვებული საქართველოს“ დამფუძნებელი პოლიტიკურ სპექტრს მიმართავს, არ აღფრთოვანდეს ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რადგან ოქრუაშვილის თქმით, მისი შეთავაზება, პროპორციული სიით არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, არის პოლიტიკური ხაფანგი.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი გაიხანგრძლივოს და ნულოვანი ბარიერიც სწორედ ამას უკავშირდება. რეალურად კი ის მისი მაჟორიტარებისგან შექმნის პარტიებს და შევა პარლამენტში.

– ივანიშვილის მიერ პროპორციული არჩევნების შემოთავაზება გახლავთ ჩვენი ახალგაზრდები და არა მარტო ახალგაზრდების შეუპოვარი ბრძოლის ნაწილობრივი შედეგი და მე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი მოძრაობის სახელით მათ.

ნულპროცენტიანი ბარიერით არჩევნების შემოთავაზება სხვა არაფერია, თუ არა ივანიშვილის მიერ თაღლითური გზებით თანამდებობის შენარჩუნების გზა და ძალიან ბერი პოლიტიკური პარტია, რომელიც მიესალმება ამას, უნდა აცნობიერებდეს, რომ შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკურ ხაფანგში. ეს გახლავთ პრაქტიკულად და შინაარსობრივად მაჟორიტარული სისტემის შენარჩუნება, როდესაც ივანიშვილი დღეს არსებულ მაჟორიტარებს ან ახალ მაჟორიტარებს შეაქმნევინებს პარტიებს და შეეცდება მათი მეშვეობით შეინარჩუნოს უმრავლესობა პარლამენტში, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.



**მოვითხოვთ, რომ პროპორციული არჩევნების ჩატარების მიზნით შეიქმნას სახალხო ნდობის მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი არჩევნების სამართლიან ჩატარებას**

მისივე თქმით, იმისთვის, რომ პროპორციული წესით არჩევნები დემოკრატიულ პირობებში ჩატარდეს, რამდენიმე პირობა უნდა შესრულდეს, მათ შორის არის საკადრო ცვლილებები.

– ჩვენ მოვითხოვთ, რომ პროპორციული არჩევნების ჩატარების მიზნით შეიქმნას სახალხო ნდობის მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი არჩევნების სამართლიან ჩატარებას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ რიგითი პროკურორის თანამდებობაზე დაინიშნოს სახალხო ნდობის მქონე პიროვნება, რომელიც გამოიძიებს 20 ივნისის ღამეს განვითარებულ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსთაველის გამზირზე. ჩვენ ასევე მოვითხოვთ დაუყოვნებლივ იქნენ გათავისუფლებულები ის ადამიანები, რომლებიც არიან დაკავებულები, – განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტების გასამართლების სამართლებრივი საფუძვლები არ აქვს.

– რაც შეეხება პოლიტიკური ლიდერების დევნას, მისი გადასაწყვეტია ეს. ამაში ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით, სამართლებრივი საფუძველი მას ამის არ გააჩნია. თუმცა, ნებისმიერი სახის ასეთი ტიპის ქმედება ხელისუფლების მხრიდან, ავტომატურად გააღრმავებს უფრო მეტად პოლიტიკურ კრიზისს ქვეყანაში, უფრო მეტად დააჩქარებს მისი ხელისუფლებიდან წასვლას, – ამბობს ოქრუაშვილი.

# კახა კოჟორიძე: „გახარიას ქმედებებში დანაშაულის ნიშნები შეიძლება გამოიკვეთოს“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი **კახა კოჟორიძე** პასუხობს.

***– ბატონო კახა, როგორია თქვენი, როგორც იურისტის, შეფასებები, რამდენად გადაამეტა გიორგი გახარიამ უფლებამოსილებას?***

– ჩვენ რაც ვნახეთ 21-ში, ეს ცალსახა იყო, რომ იყო ძალის გადამეტება, არაპროპორციული ძალის გამოყენება. საქართველოში არ არსებობს არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ან დამოუკიდებელი იურისტი, ვისაც ამ თემაზე განსხვავებული აზრი ექნება, რომ იქ არ ყოფილა ძალის გადამეტება და ასე შემდეგ. ნამდვილად იყო!

პოლიტიკური პასუხისმგებლობა პირველ რიგში ამაზე ეკისრება შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს ძალის გადამეტება არ მომხდარა რაღაცა ერთი წუთის განმავლობაში. ჩვენ ვხედავდით, საათების განმავლობაში რა ხდებოდა იქ და ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელია, მინისტრმა ამაზე დაუყოვნებლივი რეაგირება რატომ არ მოახდინა.

***– რა უნდა გაეკეთებინა გახარიას, შეეჩერებინა დარბევა?***

– როდესაც მან დაინახა, რომ პირველივე სპეცრაზმელმა დამიზნებით ესროლა ახლო მანძილიდან იქ მყოფ ადამიანს, პირველივეზე უნდა მოეხდინათ რეაგირება. თუ ეს იყო რიგითი პოლიციელის გადაცდომა, ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინათ რეაგირება.

ეს ასე არ მოხდა. ჩვენ დავინახეთ ძალიან მძიმე კადრები, დამიზნებით სროლა თვალში, ფეხში და ასე შემდეგ. მათ შორის იმ დემონსტრანტების მიმართ, ვინც იმ კონკრეტულ მომენტში, იმ წუთიერ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ჩვენ დავინახეთ ხანშიშესული ქალი, რომელიც ორივე მხარეს სიმშვიდისკენ მოუწოდებდა და ამ დროს მიიღო მან რეზინის ტყვიები. ამაზე პასუხისმგებლობა რომ უნდა აიღოს პოლიტიკური, ამაში ორი აზრი არ არსებობს!

***– უნდა გადადგეს გახარია?***

– ეს სისტემას სჭირდება, აქ მარტო პრინციპის თემა არ არის. აქ არის სხვა თემაც. შინაგან საქმეთა სამინისტრო არის ძალიან დიდი ორგანიზაცია, 20 ათასამდე ადამიანი მუშაობს იქ და მათ უნდა ჰყავდეთ ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც არა აქვს მორალური ავტორიტეტი დაკარგული, თორემ მერე ეს სხვა პრობლემებს იწვევს ხოლმე. ამიტომ სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ გიორგი გახარიამ დატოვოს თანამდებობა.

***– ისეთი ტყვიები იყო გამოყენებული, რომელთა გამოყენებაც არ შეიძლებოდა. მსგავსი ტყვიებით ცხოველებს იგერიებენო. ამაზე რას იტყვით?***

– მე არ ვიცი, რა ცხოველებს იგერიებენ, მაგრამ ადამიანისთვის ამ ტყვიის სროლას, მათ შორის რეზინის ტყვიის, აქვს თავისი სტანდარტები. რეზინის ტყვიები, პატარა შავი ტყვიები რომ არის, მისი სროლა 30 მეტრზე ახლოს არ შეიძლება და აქ გამოყენებული იქნა რიგ შემთხვევაში ტყვიები, რომლებიც 300 მეტრზე იქით უნდა ისროლო.

***– ძალიან ახლო მანძილიდან ისროდნენ.***

– დიახ, ჩვენ დავინახეთ ძალიან ახლო მანძილიდან სროლა. დავინახეთ ამ სროლის სავალალო შედეგები. დათხრილი თვალები, ზოგიერთი ადამიანი კომაშია და უამრავი დაზიანება აქვს მიღებული.

ვიმეორებ, ეს არ გრძელდებოდა ერთი წუთი, ეს გრძელდებოდა საათების განმავლობაში. თუ ეს გახარიას ბრძანება იყო, აი ამ ბრძანებით მოქალაქეებს ხომ მიადგა ზიანი და თავად სამართალდამცავ სისტემას მიადგა ძალიან დიდი ზიანი. აი ამ გადაწყვეტილებამ და იმ მოქმედებამ ყველაზე მეტად გამოიწვია სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაცია.

იქ მუშაობს ათასობით ადამიანი, რომელიც დღე და ღამე აკეთებს თავის საქმეს და ზოგიერთი პოლიციელის ამ გაუაზრებელმა მოქმედებამ და მათი ხელმძღვანელების ამ უკანონო ბრძანებამ გამოიწვია ის, რომ ნდობა შეერყა ამ უწყებას.

***– როდესაც საუბარი მიდის ძალის გადამეტებაზე, ამ დროს შს მინისტრის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?***

– მე ვსაუბრობ პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე ასე პირდაპირ, ცხადია, ვერ ვისაუბრებ. ამას უნდა შესწავლა და გამოკვლევა, რომ სამართლებრივად რა და როგორ მოხდა.

ნუ დაგვავიწყდება ის, რომ სწორედ აქციების დარბევის დროს ძალის გადამეტებასა და უკანონო ბრძანების გაცემაზე ვანო მერაბიშვილს ბრალი აქვს წარდგენილი და გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი. ანუ ეს მომხდარა ჩვენს პრაქტიკაში.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– შესაბამისად, არც ახლა არის გამორიცხული, რომ შესაძლებელია აქაც ჰქონდეს სამართლებრივად დანაშაულებრივ მოქმედებებს ადგილი. მე პირდაპირ ბრალს არ ვდებ, მაგრამ ამის ნიშნები შესაძლებელია იყოს.

თუ შინაგან საქმეთა მინისტრი არ იყო ამ უკანონო ბრძანების გამცემი, მაშინ, როგორც მინიმუმ, უნდა ყოფილიყო კანონიერი ბრძანების გამცემი და მისი ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო ის საშინელება, რაც ხდებოდა. აი, ეს ბრძანება მაინც უნდა გაეცა. უმოქმედობაც რიგ შემთხვევაში არის დანაშაული.

***– ანუ თქვენ უშვებთ იმასაც, რომ, შესაძლოა, ეს მისი ბრძანება არ ყოფილიყო?***

– შესაძლებელია, რომ არ ყოფილიყო. ჩვენთან ხომ ეს რეალობაა, სამწუხაროდ – ადამიანები არიან რაღაც თანამდებობებზე, მაგრამ მათ ნაცვლად სხვა იღებს გადაწყვეტილებებს. არაფორმალური მმართველობა ყველგან არის. ამიტომ მე ვერ დავიწყებ იმის მტკიცებას, ვინ გასცა ეს ბრძანება. ნებისმიერ შემთხვევაში გახარია ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

***– კამერებმა სახელმწიფო დაცვის უფროსი, ანზორ ჩუბინიძე, დააფიქსირეს სპეცრაზმელებს შორის და სწორედ მაშინ გაჩნდა ეს ეჭვები, თუ ვინ იყო ბრძანების გამცემი, გახარია თუ სხვა.***

– ბრძანება ვინ გასცა, ეს მე არ ვიცი. მე ვიცი, რომ გახარიაც იყო პარლამენტში და როდესაც მან დაინახა, რომ მასზე დაქვემდებარებული ადამიანები არასწორად იქცეოდნენ, ამეტებდნენ ძალას, მას დაუყოვნებლივ უნდა მიეღო ზომები ამის შესაჩერებლად, მაგრამ მან ეს ზომები არ ან ვერ მიიღო. არმიღება და არმოქმედება, შესაძლოა, ასევე დანაშაულის ნიშნების შემცველი იყოს. სამსახურებრივი გულგრილობაც დასჯადია ჩვენი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით.

***– ბატონო კახა, არანაკლებ პრობლემაა სასამართლოს გადაწყვეტილებები დაკავებულების მიმართ. ასევე საუბარია იმაზეც, რომ დაკავებული გაცილებით მეტია, ვიდრე ოფიციალურად აცხადებენ. რას იტყვით თქვენ?***

– მე დაკავებულთა ზუსტი რაოდენობის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი ის, რომ სასამართლოში საქმეების განხილვა მოხდა იმ სტანდარტებით, რომლებითაც ხდებოდა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დროს.

მაშინ მე ადვოკატი გახლდით და სასამართლო დარბაზებში ვიცავდი დაკავებული ადამიანების უფლებებს. ასევე 15 ივნისი იყო, შემდეგ იყო 26 მაისი. აი ამ აქციებზე დაკავებულების დროს როგორც ხდებოდა მტკიცებულებების გარეშე ადამიანების პასუხისგებაში მიცემა, ანალოგიური მოხდა ახლა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლომ ეს ტესტი ვერ ჩააბარა და, რა თქმა უნდა, ვერც ჩააბარებდა, რადგან, სამწუხაროდ, სასამართლო ჩამოყალიბდა პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებლად და ეს პოლიტიკური დაკვეთა გამოიხატა ამ შემთხვევაში იმაში, რომ კონკრეტული ადამიანის თავისუფლებები შეზღუდული იქნა მტიცებულებების გარეშე.

# პოროშენკო: „უკრაინელებო, დასასვენებლად აუცილებლად წადით საოცარ და მზიან საქართველოში!“

## „გვერდით დავუდგეთ ქვეყანას, რომელიც ჩვენსავით ებრძვის რუსეთს“

უკრაინის მეხუთე პრეზიდენტმა, ევროპული სოლიდარობის პარტიის ლიდერმა პეტრო პოროშენკომ მოუწოდა უკრაინელებს, რომ სამოგზაუროდ საქართველოში ჩავიდნენ. პოროშენკო ასევე მიმართავს უკრაინის ხელისუფლებას, რათა ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველო გრუზიას ნაცვლად საქართველოდ მოიხსენიონ.



– ჩვენი პოლიტიკური გუნდი მთლიანად სოლიდარულია ქართველი ხალხის მიმართ. საქართველოს მიმართ, რომელიც იბრძვის რუსული აგრესიისა და ოკუპაციის წინააღმდეგ.

კრემლი საქართველოს მიმართ იგივე მეთოდებს მიმართავს, რაც მან უკრაინის წინააღმდეგ არაერთხელ გამოიყენა. ოფიციალურ მოსკოვს სურს, ეკონომიკურად შეასუსტოს ქვეყანა, სწორედ ამიტომ, მან დაბლოკა ფრენები და ცდილობს, ტურისტულ სფეროზე თავდასხმით, დარტყმა მიაყენოს ქართულ ეკონომიკას.

ჩვენ, უკრაინელები, არასდროს ვტოვებთ გასაჭირში ჩვენს მეგობრებს!

სწორედ ამიტომ, მინდა მოვუწოდო უკრაინელ ხალხს, თუ გეგმავთ დასვენებას, აუცილებლად წადით საოცარ და მზიან საქართველოში. ქართველი ხალხი გაგაოცებთ თავიანთი სტუმართმოყვარეობით.

მივმართავ და მოვუწოდებ უკრაინის მთავრობასა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, უზრუნველყონ საჰაერო ნავიგაციისა და აეროპორტის მოსაკრებლის ფასდაკლებები ავია-რეისებისთვის უკრაინა-საქართველო– უკრაინის მიმართულებით.

ავიაკომპანიებს ამ შემთხვევაში შეეძლებათ ფასი დაწიონ ბილეთებზე.

და ბოლოს, ჩვენ არაერთი კონსულტაცია გვქონია ამ თემაზე და ახლა დადგა დრო, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკებები და ოფიციალურად შეცვალოს სახელწოდება გრუზია სახელწოდებით საქართველო.

მნიშვნელოვანია, გვერდით დავუდგეთ ქვეყანას, რომელიც, ჩვენ მსგავსად, წლებია იბრძვის რუსული აგრესიის წინააღმდეგ, გვერდით დავუდგეთ საქართველოს! – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

# პაატა დავითაია: „პარლამენტმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაზე შეიძლება უარი თქვას“

## ივანიშვილმა ხალხი ისევ მოატყუა?

შორენა მარსაგიშვილი

მართლა წავიდა თუ არა დათმობაზე ოლიგარქი, რატომ ვერ ელევა გახარიას, რა სიურპრიზი ელოდება ხალხს და ოპოზიციას ივანიშვილის პარლამენტისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი **პაატა დავითაია** ესაუბრება.

***– 24 ივნისის დილით ივანიშვილმა გვამცნო, რომ 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება. საზოგადოების ნაწილმა ეს დათმობად აღიქვა. თქვენი აზრით, წავიდა ოლიგარქი დათმობაზე?***

– ქართულმა საზოგადოებამ აიძულა ივანიშვილი, წასულიყო პროპორციულ სისტემაზე, მაგრამ ამით არაფერი არ დასრულებულა. პროპორციულ სისტემაზე გადასვლა გახარიას ამბავს ვერ გადაფარავს. შინაგან საქმეთა მინისტრი აუცილებლად უნდა გადადგეს. საქართველოში ვერავინ შეეგუება იმას, რომ ეს ადამიანი ისევ თანამდებობაზე დარჩეს.

ძალიან კარგია, რომ ივანიშვილი პროპორციულ სისტემას დათანხმდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გავიმარჯვეთ. ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ და უნდა ვთქვათ, რა არის პროპორციული სისტემა.



მინდა თქვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ ეს მარტივი თემა არ არის. ძალიან ბევრი ნიუანსი იქნება აქ გასათვალისწინებელი. მაგალითად, როგორი იქნება საარჩევნო უბნები, როგორ მოხდება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, რა იქნება ფინანსური ბარიერი, რა იქნება ნულოვანი ბარიერი და ფრაქციის ბარიერი.

ეს და სხვა დეტალები ძალიან ბევრ მუშაობას მოითხოვს. მუშაობის პროცესში გამოჩნდება ყველაფერი. ცალსახად იმის თქმა, რომ პროპორციულ სისტემაზე დათანხმება უკვე გამარჯვებაა, არ შეიძლება.

***– აშკარად გეტყობათ, რომ ივანიშვილის შემოთავაზებით კმაყოფილი არ ხართ.***

– პროპორციული სისტემა ნულოვანი ბარიერით სერიოზული შემოთავაზებაა, მაგრამ ეს შემოთავაზება არ უნდა აღვიქვათ, როგორც კარგი თემა. პირიქით, ეს შეთავაზება ხელისუფლების შენარჩუნებისთვის შეიძლება ძალიან სერიოზული ბერკეტი გამოდგეს.

პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ნიშნავს, რომ ბლოკები აღარ იქნება. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური ერთობა შედგა, წარმატების მიღწევა შეიძლება.

რას ვგულისხმობ ოპოზიციურ ერთობაში? ოპოზიციის ერთიან სიას. ასეთი სია თუ შედგა, ოპოზიციას გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

თუ ოპოზიციური ერთობა ვერ შედგა, მაშინ ივანიშვილი რჩება გამარჯვებული.

ახლა ჩვენ ყველანი ვართ თვალდახუჭულები, იმიტომ, რომ არ ვიცით, რა ეწერება საარჩევნო კოდექსში. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მოგვიწევს, ვიმეორებ, საქმე მარტივად არ არის.

ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თუ ოპოზიციური ერთობა არ შედგა, „ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩება.

იმის თქმაც შეგვიძლია, თუ რამდენი იქნება პროპორციულ სისტემაზე გადასვლისას ბუნებრივი ბარიერი. ეს სადღაც 0.67% იქნება. 12.000 ხმით შეიძლება დეპუტატის მანდატი მოიპოვო.

***– ამბობთ, რომ აუცილებელია ოპოზიციური ერთობა. ამის გაკეთება საქართველოში იოლი არ იქნება.***

– თუ ოპოზიციური ერთობა არ შედგება, ივანიშვილი არ შეიცვლება. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

***– მართალია, ჯერ უცნობია, როგორი იქნება საარჩევნო სისტემა, მაგრამ პროპორციული სისტემის შემოთავაზებას თქვენც დიდ მიღწევად თვლით. „ოცნების“ ლიდერმა ეს სისტემა გახარიას შენარჩუნების სანაცვლოდ ხომ არ შემოგთავაზათ?***

– არა. ასეთი შემოთავაზება არ გამოვა. ადრე თუ გვიან გიორგი გახარიას მაინც მოუწევს შს მინისტრის პოსტის დათმობა. ოპოზიციამ რომც დათმოს, ახალგაზრდობა არ წავა დათმობაზე.

მოდით, გავიხსენოთ 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევა. მაშინ სააკაშვილმა პოლიტიკური პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და გადადგა და ხელახლა მოიპოვა მოსახლეობისგან მანდატი.

დაახლოებით იგივე მოხდა ახლაც, ცოტა ფორმაციაა სხვა. ივანიშვილმა გადმოაგდო პროპორციული სისტემა. ოპოზიცია ერთობას თუ ვერ შეძლებს, „ოცნება“ ხელისუფლებას შეინარჩუნებს.

ქვეყანაში შექმნილ კრიზისს ივანიშვილის ეს შეთავაზება ვერ განმუხტავს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ ჯერ არაფერი არ ვიცით.

***– ამ შემოთავაზებამ გადაფარა ერთი ძალიან ხმაურიანი ამბავი – გავრილოვის პარლამენტის სპიკერის სავარძელში წამოსკუპება. ეს თემა საბოლოო დავიწყებას მიეცემა?***

– ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ გავრილოვის ამბავი არ გადაფარულა და ვერც გადაიფარება.

საქართველოს ისტორიაში გავრილოვიც დარჩება და გავრილოვის ღამეც მისი ავტორების ხელმძღვანელობით. მხედველობაში მყავს კობახიძე და გახარია.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში კრიზისი არ განელებულა. რა პროცესები გველოდება ამ კრიზისის ჟამს?***

– გახარია სანამ თანამდებობას არ დატოვებს, საპროტესტო აქციები არ შეწყდება.

ასევე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება საარჩევნო კოდექსზე მოლაპარაკებები.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით რომ ჩატარდეს, ამას ძალიან ბევრი ხმა სჭირდება.

ქვორუმი უნდა იყოს ძალიან მაღალი, თუ ქვორუმი არ მოგროვდა, მაშინ ეს ცვლილება არ განხორციელდება და მორჩა.

***– თქვენი აზრით, შეიძლება, რომ საჭირო რაოდენობის დეპუტატები არ მოგროვდნენ?***

– ყველაფერი შესაძლებელია. ამიტომ ვამბობ, რომ წინასწარ რაიმე გამარჯვებაზე საუბარი ნაადრევია.

მე არ ვარ დარწმუნებული, რომ მაჟორიტარები ამ ცვლილებებს მხარს დაუჭერენ. მათი მხარდაჭერის გარეშე კი ცვლილება არ გამოვა. ამიტომ ვამბობ, რომ წინ კიდევ ბევრი ბრძოლა გველოდება.

# ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიციის ლიდერების დაჭერა არეულობას გამოიწვევს“

## „სააკაშვილს ვერ დავეთანხმები, საჭიროა თანამშრომლობა პროპორციულზე გადასასვლელად“

იაგო ნაცვლიშვილი

საზოგადოებრივმა პროტესტმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. „ქართულმა ოცნებამ“ დათმო ის, რასაც ეწინააღმდეგებოდა ამდენი ხნის განმავლობაში და მზადყოფნას გამოთქვამს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულიად პროპორციული სისტემით ჩაატაროს, თანაც უბარიერო სისტემით. ეს განცხადება საზოგადოებას პარტიის ლიდერმა და თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ამცნო.

ივანიშვილმა უარი თქვა წლების წინ თავისსავე ფილოსოფიაზე, რომ შუა უნდა გაიკრიფოს, ყოველ შემთხვევაში, მან მრავალპარტიულობაზე ისაუბრა, რაც სწორედ ივანიშვილის „გაკრეფილი შუას“ გაჩენის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ ივანიშვილი წვრილ-წვრილ პარტიებთან გარიგებით ეცდება ფონს გასვლას. მანვე დააანონსა სამართლებრივ გადაცდომებზე რეაგირებაც.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს:

***– „ქართულმა ოცნებამ“ დათმო ერთ-ერთი მთავარი საკითხი პროპორციული სისტემა, მაგრამ არ თმობს შს მინისტრის გიორგი გახარიას პოსტს, როგორია ამაზე თქვენი შეფასება?***

– სახალხო პროტესტი, რომელიც ამ საკითხზე იყო და გრძელდება, ამან გამოიღო შედეგი და, როგორც ჩანს, დაინახა ხელისუფლებამ, რომ ეს არ იყო პოლიტიკური პარტიების ორგანიზებული, დაინახა, რომ ეს იყო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, ყოველ შემთხვევაში, პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის პროტესტი პარლამენტში განვითარებული პროცესების გამო, რამაც გამოიწვია ქვეყნის და საზოგადოების შეურაცხყოფა, რაც უკავშირდება რუსი დეპუტატების ჩამოყვანას სერგეი გავრილოვის ხელმძღვანელობით, რასაც დაემატა შსს-ს მხრიდან ძალის გადამეტება, რეზინის ტყვიების სროლა ახლო მანძილიდან დამიზნებით და ა. შ. ამით მთავრობამ დაინახა, რომ ხალხი არ შეეგუება ასეთ ქმედებებს, ამიტომაც წავიდა დათმობაზე და ერთ-ერთი საკითხი არის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა. იქამდე დათმეს ის, რომ ირაკლი კობახიძემ დატოვა თანამდებობა.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა გარკვეული ზეწოლა მოახდინეს „ქართულ ოცნებაზე“.

***– ვარაუდობთ, რომ რაღაც დიპლომატიური ზეწოლა იყო ხელისუფლებაზე და ამან განაპირობა ეს დათმობა?***

– რეკომენდაციები. ყველამ იცის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ ვითარებაში აიღო პასუხისმგებლობა და ეს მისასალმებელია. გარდა ამისა თქვეს, რომ უნდა დაისაჯონ, ვინც დამიზნებით ისროდნენ ტყვიებს, ეს მოთხოვნაა საზოგადოებაში.

***– კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი იყო გახარია, რატომ ვერ თმობს „ოცნება“ მას? ვნახეთ მმართველი პარტიის ახალი მესიჯბოქსი „ოცნების“ ლიდერების მხრიდან, რომლებიც ამ კითხვებზე პასუხებს გაურბიან.***

– შეიძლება ივანიშვილი თვლის, რომ გახარია მის ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს და აქედან გამომდინარე არ თმობს გახარიას, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ თუ გაგრძელდა პროტესტი, შესაძლებელია დათმოს.

***– ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ გახარიას ვერ მართავს ივანიშვილი და პირადად პუტინისგან იმართება. ეს რამდენად ლოგიკური მოსაზრებაა?***

– არა მგონია. შეიძლება რაღაც გავლენა აქვს, რადგან ის მოღვაწეობდა რუსეთში და შემდეგ ჩამოვიდა, თუმცა მე მივიჩნევ, რომ ის ასრულებს ივანიშვილის დავალებებს, მაგრამ შესაძლოა ისიც, რომ ივანიშვილი ბოლომდე გახარიასაც არ ენდობოდეს. ვინაიდან ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ ანზორ ჩუბინიძემ დაიწყო ოპერაცია და მან გასცა ბრძანება, რომელიც არის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი. ცნობილია, რომ ჩუბინიძე უშუალოდ ივანიშვილს ექვემდებარება, იმიტომ, რომ მისი დაცვის სამსახურის უფროსი იყო.

***– პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად რა ნაბიჯებიც გადაიდგა, ეს საკმარისი იქნება?***

– მე ასე მგონია, რომ უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც გახსნეს რეზინის ტყვიები. მომავალ არჩევნებში გამარჯვება თუ უნდა „ქართულ ოცნებას“, სადაც მას ძალიან გაუჭირდება, ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირება. ამიტომ მას მოუწევს,

**შესაძლოა, რომ ივანიშვილი ბოლომდე გახარიასაც არ ენდობოდეს. ვინაიდან ასეთი მოსაზრებაც არსებობს, რომ ანზორ ჩუბინიძემ დაიწყო ოპერაცია და მან გასცა ბრძანება, რომელიც არის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი.**

რომ გარკვეული პრობლემები მოაგვაროს, რათა მისი რეიტინგი ამაღლდეს. სხვა შემთხვევაში მას მოუწევს ხელისუფლების დათმობა.

***– ივანიშვილმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უნდა გამოვლინდეს ძალის გადამეტებასთან საკითხები. ეს არის დროის გაწელვა, რათა დრო მოიგონ და გახარიას თანამდებობა შეუნარჩუნონ თუ უბრალოდ სამართლებრივ რეაგირებას ელოდებიან, თუ გამოიკვეთება ბრალეულობა, მაშინ გაუშვებენ?***

– არ არის გამორიცხული, ასეც იყოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, წავა თუ არა საზოგადოება დათმობაზე. ელოდებიან ამას და მერე შესაძლებელია გახარიასაც მოუწიოს თანამდებობიდან წასვლა.

***– ანუ პროცესების განვითარებაზეა გახარიას წასვლა-არწასვლის საკითხი?***

– დიახ, რა თქმა უნდა.

***– ის მესიჯი რას ნიშნავდა, რომ დესტრუქციულ ძალებთან არ ითანამშრომლებენ და პასუხისმგებლობა მოუწევთ მათ? დაჭერების სერია ხომ არ გველოდება?***

– ღმერთმა დაიფაროს ქვეყანა, ეს რომ მოხდეს, მაშინ ეს გამოიწვევს მასობრივ არეულობას. მაინც მგონია, რომ ეს არ იქნება. ამას ისევ პროტესტი მოყვება საზოგადოების მხრიდან, ამიტომაც



ხელისუფლება შეეცდება, რომ თავისი კონტროლირებადი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისევ 9 წელზე გადაიტანონ საუბარი და ა. შ.

***– მაშინ ეს რა მესიჯი იყო?***

– მარტო ჩვენ კი არ ვართ დამნაშავეები, ოპოზიციაც დამნაშავეაო. ერთ ქვაბში მოხარშვის მცდელობა იყო, რომ ოპოზიციასაც და ხელისუფლებაც დამნაშავეა და ყველამ უნდა აგოს პასუხი და არ უნდა, რომ ოპოზიცია გამოიყვანოს წმინდანად.

***– ეს განცხადება, რომ ვინც არეულობას გეგმავდა, მათთან არ ვითანამშრომლებთო, ეს მიმართულია იქით, რომ ამ ძალებთან არ ითანამშრომლებენ თუ კონკრეტულ სუბიექტებთან, მაგალითად, ვინც გამოკითხვაზე არიან დაბარებულები?***

– არა, აქ ლაპარაკია პარტიებზე და არა პარტიის წარმომადგენლებზე. პირველ რიგში, ეს არის ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“. მაგრამ იქ არის გაერთიანებული ოპოზიცია და ისმის კითხვა, მაშინ ვისთან უნდა ითანამშრომლოს?! არ არის გამორიცხული, რომ გაურიგდეს პატრიოტთა ალიანსს და სხვა ძალებს, რომ დააბალანსონ ნაციონალური მოძრაობა მომავალ პარლამენტში და აქედან გამომდინარე, მან არ მიიღოს ბევრი ხმა. ასეთი ქმედება სურდა ივანიშვილს 2013 წელს, როდესაც სალომე ზურაბიშვილს და ნინო ბურჯანაძეს პოლიტიკური აქტიურობისკენ მოუწოდებდა, რომ როგორმე დაებალანსებინა ნაცმოძრაობა. ასეთივე მიზანი აქვს ახლაც. რამდენად გამოუვა, ეს სხვა საკითხია.

***– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ვინც ამ დათმობას დათანხმდება ან სულელია, ან გაყიდულიო. ეს ხომ არ არის დიალოგის ჩაშლის მცდელობა?***

– არ ვიცი. ამ შემთხვევაში მე ბატონი სააკაშვილის მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. ასე მგონია, რომ ოპოზიციამ ეს უნდა გამოიყენოს და მოემზადოს საპარლამენტო არჩევნებისთვის და ჩატარდეს თავის დროზე და არა ვადამდელი არჩევნები, რათა კარგად მოემზადოს. განცხადება, რომ გარიგებულია, ცოტა რადიკალური განცხადებაა. შეიძლება არ მოგწონდეს „ქართული ოცნება“, მაგრამ მან გადმოდგა ნაბიჯი. სხვა საკითხია, ის იყო თუ არა იძულებული ეს ნაბიჯი გადაედგა. ეს ნაბიჯი საქართველოსთვის კარგი იქნება, ამიტომ საჭიროა მისი მიღება და თანამშრომლობაც იმისათვის, რომ პროცესი ბოლომდე მივიდეს, რაც გარიგებას არ ნიშნავს.

# რუსეთში საქართველოს წინააღმდეგ სხვა სანქციებს და ქართველი ფეხბურთელების დასჯას მოითხოვენ

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი ღრმავდება. პოლიტიკურ პერიპეტიებში ეკონომიკის გარდა, ჩაბმულია სპორტიც. რუსეთში საქართველოს წინააღმდეგ ახალი პერმანენტული სანქციების ამოქმედებას, ასევე ქართველი სპორტსმენების დასჯას მოითხოვენ.

საქართველოში ჩამოსული რუსი ტურისტების უმრავლესობა ეწინააღმდეგება თავისი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას 8 ივლისიდან საქართველოსთან ავიამიმოსვლის შეწყვეტისა და ტურისტული საგზურების გაყიდვის აკრძალვის თაობაზე. ისინი აგრძელებენ ხელმოწერებს პეტიციაზე პუტინისადმი, სადაც ამ ბრძანებულების გაუქმებას ითხოვენ. ერთ-ერთი პეტერბურგელი მოგზაური, რომელიც თბილისში იმყოფება, აღნიშნავს, რომ აქ მყოფი ტურისტების 90% რუსულად ლაპარაკობს. ბევრისთვის პუტინის გადაწყვეტილება გაუგებარი და მიუღებელია.

მათ მსგავსად არ ფიქრობენ რუსეთის სხვა მოქალაქეები. ისინი საქართველოს წინააღმდეგ მკაცრ და პერმანენტულ სანქციებს ემხრობიან. ბუნდოვანია, როგორ წარმოუდგენიათ მათ საქართველოს კიდევ უფრო დასჯა იმ დროს, როცა რუსეთში საქართველოს მოქალაქეები ვიზებით შედიან, ქვეყნებს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა, ქართული პროდუქციის გატანა მინიმიზირებულია, კულტურული ურთიერთობები კი – შეზღუდული. სხვა თემაა ოკუპაცია და ბორდერიზაცია.

საზოგადოების ერთ კატეგორიას, რუსეთის კანონმდებლების ჩათვლით, რეპრესიების ობიექტი შერჩეული ჰყავთ. ეს ქართველი ფეხბურთელები არიან. ქუთაისის ტორპედოს, თბილისის ლოკომოტივისა და რუსთავის რუსთავის ფეხბურთელები საქართველოში მატჩის დროს გამოწყობილი იყვნენ მაისურებში წარწერებით „მე საქართველოდან ვარ. ჩემი ქვეყანა ოკუპირებულია რუსეთის მიერ“.



რუსეთში მიაჩნიათ, რომ ანტირუსულ დემარშზე რეაგირება უნდა მოახდინონ ფიფა-მ და უეფა-მ. მათი თქმით, უეფა კრძალავს პოლიტიკურ ლოზუნგებს.

რუსეთში სიტყვა „ოკუპანტი“ ხშირად გაოცებას და გაღიზიანებას იწვევს. აქ ჩამოსული ბევრი რუსი ტურისტიც არ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ზოგიერთი უბრალოდ უვიცია და დარწმუნებულია, რომ აფხაზეთს საქართველოსთან არანაირი კავშირი არა აქვს.

რუსი კომენტატორების აზრით, ფიფა და უეფა ქართველი ფეხბურთელების წინააღმდეგ ზომებს არ მიიღებს. მათი აზრით, უნდა იაქტიუროს რუსეთის ხელისუფლებამ. მან რუსეთის მოქალაქეობა უნდა ჩამოართვას ქართული გვარების მქონე იმ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც ამ აქციაში და თამაშებში მონაწილეობდნენ.

რუსეთში დარწმუნებულია არიან, რომ საქართველოს რუსი ტურისტების დაკარგვით უდიდესი ზარალი მიადგება. სახელდება ციფრი – საშუალოდ 750 მილიონი დოლარი წელიწადში.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების მცდარ გათვლას, სწრაფვას ტურიზმისკენ და ეკონომიკის სხვა მიმართულებების განუვითარებლობას, ასევე პოზიციების ხშირ ცვალებადობას და გაუგებარ პოლიტიკას რუსეთის მიმართ.

სალომე ზურაბიშვილმა 20-21 ივნისს თბილისში განვითარებულ მოვლენებში რუსეთის ხელი დაინახა, ორი დღის შემდეგ კი განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობა არ უნდა აისახოს ტურისტებზე.

რუსეთის საგარეო სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ გამოაცხადა, რომ ზურაბიშვილმა რუსი ტურისტების საქართველოში ჩამოსვლის საჭიროება კალკულატორით ხელში გააკეთა. 2018 წელს მათ საქართველოს ბიუჯეტს 1 მილიარდი დოლარი მოუტანეს. ზურაბიშვილს არაფერი უთქვამს ტურისტების უსაფრთხოებასა და იმაზე, რომ მათ თბილად დახვდებიან.

სალომე ზურაბიშვილის ჰუმანური ინიციატივით რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის დეპუტატი ალექსეი პუშკოვიც აღშფოთდა. პრეზიდენტის განცხადების მისი ინტერპრეტაცია ასეთია:

– საქართველოს პრეზიდენტი მოუწოდებს ჩვენს ტურისტებს, უყვარდეთ საქართველო, ამასთან, მიგვანიშნებს, რომ თვითონ მთელი მსოფლიოს გასაგონად იყვირებენ, როგორ ვძულვართ.

ამ მკვეთრი გამონათქვამების და გადაწყვეტილებების უკან გეოპოლიტიკური დაპირისპირება იკვეთება. იმას, თუ რა ხდება დღეს საქართველოში, ალბათ, მალე მოეფინება ნათელი.

## მაია ცქიტიშვილი: „ყველა თანხმდება, რომ ძალის გამოყენება პოლიციის მხრიდან ლეგიტიმური იყო“

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო აგრესიის შეჩერება და ჩვენი საზოგადოების მასობრივი არეულობისგან დაცვა, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა 20-21 ივნისს პარლამენტის შენობის წინ განვითარებულ მოვლენებს. მისი თქმით, შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ გუნდში სერიოზული მსჯელობა არ ყოფილა.

მაია ცქიტიშვილის აზრით, პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებში „ნაციონალური მოძრაობა“ სრული პასუხისმგებლობის შინაგან საქმეთა სამინისტროზე გადატანას ცდილობს. ვიცე-პრემიერის შეფასებით, მშვიდობიანი პროტესტის დასაფიქსირებლად მისულ მოქალაქეებს სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მოუწოდეს დესტრუქციული მოქმედებებისკენ.

– ყველამ ვიხილეთ, რომ სამწუხაროდ, მშვიდობიანი პროტესტი მშვიდობიან ფორმატს გასცდა. მომიტინგეების გარკვეული ნაწილისგან ძალიან დიდი ძალადობა ვიხილეთ და ასევე ვიხილეთ, თუ რამდენი საათის განმავლობაში რა მაღალი სტანდარტით იცავდა პოლიცია საკუთარ თავს და სახელმწიფო ინსტიტუციას. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ, რადგან მოვლენები ძალიან დინამიურად ვითარდებოდა, პოლიციას მოუწია ამ აგრესიის შეჩერება.



ყველა თანხმდება, რომ ძალის გამოყენება პოლიციის მხრიდან იყო ლეგიტიმური. შესაბამისად, რაიმე სახის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას. პირიქით, აქ საუბარია იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო აგრესიის შეჩერება და მასობრივი არეულობისგან ჩვენი საზოგადოების დაცვა, ხოლო იმ ცალკეულ შემთხვევებზე, სადაც ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილი, როგორც დღეს პროკურატურამაც განაცხადა, იქნება რეაგირება და ამის ნება და მზადყოფნა გვაქვს. ჩვენ ეს საკითხი უნდა განვიხილოთ სამართლებრივ ჭრილში, სამართლებრივ ჭრილში კი, ძალის გამოყენების ლეგიტიმაცია არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამ თვალსაზრისით გამორიცხულია, – განაცხადა მაია ცქიტიშვილმა.

მინისტრის თქმით, იმ პირების მიმართ, რომლებიც აქციის მონაწილეებს ძალადობრივი ქმედებებისკენ მოუწოდებდნენ, უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება, რაზეც მიმდინარეობს გამოძიება.

აღნიშნულ ინფორმაციას რეგიონული განვითარების სამინისტრო ავრცელებს.

## მამუკა მდინარაძე: „რას ნიშნავს, გახარია ვერ შემოვა დარბაზში?!“

– სუბიექტი, ვინც უსაფრთხოების საკითხებზე პრევენცია, დაზღვევა, გათვლა უნდა გააკეთოს, მინისტრი გიორგი გახარიაა – როგორც ჩანს, მან ამის შესახებ ძალიან კარგად იცის, როცა პარლამენტში მოსვლის სურვილი ვაჟკაცურად გაახმოვანა და თქვა, რომ მზად არის, მოსახლეობა საქმის კურსში ჩააყენოს – ამის შესახებ ჟურნალისტებს საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განუცხადა.



მდინარაძის თქმით, გახარიას სურვილი, რომ პარლამენტში წარდგეს და დეპუტატები საქმის კურსში დეტალურად ჩააყენოს, რა მოხდა და ამ დღეების განმავლობაში რა ხდება, ოპონენტების შეფასებით თურმე, პროვოკაცია ყოფილა.

– ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ლოგიკა. ახლა ძალადობისკენ შეფარული მოწოდებები დაიწყეს. რას ნიშნავს, გახარია ვერ შემოვა დარბაზში?! რატომ ვერ შემოვა?! ასეთი მოწოდებები, ხან შეფარული, ხან აშკარაა. სიტყვა ხან გაურბით და მერე ხელსაც იქნევენ, შტურმით ასაღებად რომ მოუწოდებენ მოქალაქეებს, ეს არის მათი ხელწერა, რაც ვერაფრით მოიშალეს – ძალადობა, პროვოკაცია, ტყუილი, გულწრფელ ემოციაზე „მოჯდომა“, რომ რამენაირად ადამიანის სალი ემოცია და პროტესტი გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისთვის, რომ აიღონ შტურმით საქართველოს პარლამენტი. ეს მათი სტილია, ეს უნდა დამთავრდეს. დღეს შოკში ჩავარდნენ, როცა ხელისუფლებამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, რომ ბარიერის გარეშე არჩევნები ჩატარდეს. ეს ჩვენ არ გვაწყობდა, მაგრამ ყველაზე მეტად „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აწყობს, რადგან სურთ, ქვეყანას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მართავდნენ. მთელი დღე ყველაზე დემოკრატიულ ნაბიჯზე ილანძღებიან. როგორ შეიძლება იმას შეეწინააღმდეგო, რომ შს მინისტრს სურს, საზოგადოება დეტალურად საქმის კურსში ჩააყენოს და ამას პროვოკაცია დაარქვა, თუ თავად პროვოკაციისკენ არ ხარ მიდრეკილი და არ გინდა, პროვოკაცია რამენაირად მოეწყოს, – განუცხადა ჟურნალისტებს მდინარაძემ, რომან გოცირიძის განცხადების კომენტირებისას.

## რომან გოცირიძე: „გიორგი გახარიას პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესვლის უფლებას არ მივცემთ“

საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე აცხადებს, რომ პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას მოსმენა ვერ მოხდება, მას სხდომათა დარბაზში შესვლის უფლებას არ მისცემენ.

როგორც ჟურნალისტებს გოცირიძემ განუცხადა, უგნურებაა, რომ გიორგი გახარია პარლამენტში მისვლას გეგმავს.

– ვითხოვდით, რომ ის ტრაგიკული მოვლენები განგვეხილა, რაც დატრიალდა და დარბაზში რუსი კომუნისტის შემოთრევით მოხდა. ხელისუფლებამ პროპორციული არჩევნების დანიშვნაზე პირველი ნაბიჯები გადადგა და იმის ნაცვლად, რომ ვითარება დააწყნაროს, ახლა თქვეს, რომ დამნაშავე გახარია პარლამენტში პარასკევს უნდა მოვიდეს და მოვუსმინოთ. მთელი ქვეყანა გახარიას გადადგომას ითხოვს, რათა მან პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღოს. საზოგადოების სრული იგნორირებით უტიფრად უნდათ, გახარია მოიყვანონ. ცეცხლზე ნავთს ასხამენ. შეგნებულად აღიზიანებენ ხალხს, შეგნებულ პროვოკაციაზე მოდიან. გაფრთხილებთ, მთელი პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ, რადგან გარეთ სხვა განწყობაა, რასაც ვერ ხედავთ. გახარია ამ დარბაზში ვერ შემოვა, ამის პირობას გაძლევთ. გახარია ვერ შემოვა, გავრილოვი შემოვიდა და დარბაზს დავიცავთ. „ქართულმა ოცნებამ“ დარბაზი წაბილწა და კეთილი ინებონ, სხდომათა დარბაზს დეზინფექცია ჩაუტარონ, სანამ შევალთ. პარლამენტში გახარია ვერ მოვა, ხელისუფლება პროვოკაციას გვთავაზობს, პროვოკაციის აცილების გზა გონივრული გადაწყვეტილებაა – გახარია უნდა გადადგეს, – განაცხადა გოცირიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

# ტურისტულ ადგილებში საგადასახადო შეღავათების შემოღება — „საქმიანი წინადადება“ მთავრობას

ბიზნესმენი თემურ ჭყონია სახელმწიფოსგან ტურისტულად პერსპექტიულ ადგილებში სპეციალური საგადასახადო რეჟიმის შემოღების ინიციატივით გამოდის.

მისი თქმით, ეს არის აუცილებელი ნაბიჯი, რაც საკურორტო ზონებში ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სახელმწიფომ უნდა გადადგას.

ბიზნესმენის შეთავაზებით, ერთ-ერთი პრეფერენცია შეიძლება იყოს ტურისტულად პერსპექტიულ ზონებში დღგ-ის შემცირება ან გარკვეულ პერიოდში ამ გადასახადისგან სასტუმრო ბიზნესის საერთოდ გათავისუფლება.

– ტურიზმის განვითარება არ ნიშნავს მხოლოდ აეროპორტის და ტრასების მშენებლობას. ტურიზმის განვითარება ნიშნავს, რომ ადგილობრივ ტურისტულ ზონებში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს, აშენდეს როგორც მცირე სასტუმროები, ასევე, ჰოსტელები და მსხვილი სასტუმროებიც.რამდენიმე სეგმენტი უნდა განისაზღვროს. ამას სჭირდება სპეციალური პროგრამები. არ უნდა იყოს სტანდარტული საგადასახადო სისტემის პროგრამა შემუშავებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ყველა ტერიტორიას, რეგიონს გააჩნია თავისებური სეზონურობა, სტრუქტურა; აქედან გამომდინარე, ხალხი უნდა გრძნობდეს ხელშეწყობას სახელმწიფოსგან, რაც გამოიხატება შემდეგში, რომ დღგ-ის 18%-იანი გადასახადი უნდა იყოს მინიმუმადე შემცირებული ან რაღაც პერიოდში გაუქმებული, სანამ იმ რეგიონში, იმ ტურისტულ ზონაში დასახულ პროგრამას, მიზანს არ მივაღწევთ, – აცხადებს bm.ge-ისთან თემურ ჭყონია.

ბიზნესმენს მაგალითისთვის ისეთი საკურორტო ზონები მოჰყავს, როგორიცაა ქობულეთი, სიღნაღი, წყალტუბო, სადაც შემოსავალი დაბალია და სადაც სახელმწიფო თვლის, რომ განვითარების პოტენციალი გაცილებით მეტ ტურისტს მოიზიდავს.

– ვიღაცა იტყვის, ჭყონიას მოუნდა ახლა გადასახადების არგადახდაო... ჭყონიას კი არ მოუნდა, იქ არის ხალხი, რომელიც 5 წელი უნდება სასტუმროს მშენებლობას. ამიტომ ისეთი პროგრამა უნდა შევთავაზოთ, რომ ერთ წელიწადში ააშენოს, უფრო მეტი დოვლათი შექმნას და წინ წავიდეს ქვეყანა. ჩვენი ეკონომიკური ზრდა იმიტომ არის 5%, რომ არ არის სწორი გადაწყვეტილებები და არა იმიტომ, რომ ინვესტორები გვაკლია. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ 10%-იან ეკონომიკურ ზრდას, თუ ბიუროკრატიული პროცედურები იქნება შემცირებული. გადაწყვეტილებები უნდა იყოს სწრაფი, – აცხადებს bm.ge-ისთან თემურ ჭყონია.



ბიზნესმენის თქმით, ესაა მისი „საქმიანი წინადადება“ მთავრობის მისამართით, მაგრამ არ აპირებს, რომ ამის თაობაზე ხელისუფლების ეკონომიკურ გუნდს ოფიციალურად მიწეროს.

BMG

# „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ მთავრობის ეკონომიკურ გუნდს სამოქმედო გეგმის წარდგენის რეკომენდაციას აძლევს

– ვიმედოვნებ, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას და ბაზარს დაამშვიდებს, – ასე ეხმაურება „კომერსანტთან“ „საქართველოს ბიზნესასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. მისი განცხადებით, ბაზარზე მოლოდინები უფრო მეტ ნეგატიურ ეფექტს ახდენს, ვიდრე რომელიმე კონკრეტული შოკური მოვლენა. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოლოდინები გადავფაროთ, ამისთვის აუცილებელია უფრო მეტი ოპტიმიზმი და ამ შემთხვევაში ეს მთავრობის ეკონომიკური გუნდისგან უნდა წამოვიდეს.

ვეფხვაძის მტკიცებით, ხელისუფლებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმა უნდა წარმოადგინონ იმისათვის, რომ ბაზარი დაამშვიდოს.

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უფრო ძლიერად გამოვალთ ამ სიტუაციისგან, ვიდრე ვიღაცას ჰგონია. ჩვენ ამის მაგალითი უკვე ვნახეთ წლების წინ, როდესაც ემბარგოებს და დასჯებს ქართული ბიზნესის გაძლიერება მოჰყვა. პრობლემა არის ის, რომ მოკლევადიანი ნეგატიური ეფექტი კომპანიების გარკვეულ ნაწილზე იქნება. ასევე იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ტურისტულ ინდუსტრიაში. მთავარია, რა შემამსუბუქებელ ღონისძიებებს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ კომპანიებს და ადამიანებს ნეგატიური გავლენა შევუმსუბუქოთ, – აღნიშნავს ვეფხვაძე.

რაც შეეხება სავალუტო ბაზარს, ვეფხვაძის განმარტებით, მთავრობის აქტიურობაზეა დამოკიდებული, რამდენად დაარწმუნებს ბაზრის მოთამაშეებს, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობს.

„საქართველოს ბიზნესასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი დარწმუნებულია, რომ შექმნილი სიტუაციის შედეგად პანიკა არ იქნება არც ლართან დაკავშირებით. ვეფხვაძე იმედოვნებს, რომ ეკონომიკური გუნდი გეგმას წარმოადგენს.

როგორც ვეფხვაძე განმარტავს, ხვალ ბიზნესასოციაცია წევრ კომპანიებს შეხვდება და აღნიშნულ თემებს განიხილავს.

– ყრილობა საორგანიზაციო საკითხებს ეხება, თუმცა, ამ თემებსაც განვიხილავთ. რა იქნება ჩვენი წევრი კომპანიების პოზიცია და ხედვა, არ ვიცით. არსებობს სხვა მექანიზმები, მაგალითად, ინვესტორთა საბჭო და ასე შემდეგ და, ბუნებრივია, შევეცდებით მთავრობა დავარწმუნოთ, დაიდოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და ჩვენც ჩვენი დახმარება შევთავაზოთ, – აცხადებს ვეფხვაძე.

მისი განმარტებით, ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეიზი“ (აირზენა) „ბიზნესასოციაციის“ წევრი კომპანიაა და თუკი რომელიმე კომპანიას შეიძლება რაიმე ტიპის ნეგატიური გავლენა ჰქონდეს, არის „ჯორჯიან ეარვეიზი“.

– ამიტომ აქაც მოსაფიქრებელია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის ისეთი სქემები, რომლითაც, საბოლოო ჯამში, ეს კომპანია მოახერხებს სხვადასხვა სქემებით ტურისტების საქართველოში გადმოყვანას. ჩვენ მხარს ვუჭერთ, რომ „აირზენას“ დაელაპარაკონ, ისაუბრონ და კონკრეტული გეგმები დასახონ. ეს ფლაგმანი ავიაკომპანიაა და იმედი გვაქვს, რომ მისი მიმართულებით ყველაფერი კარგად იქნება, – აცხადებს ვეფხვაძე.

კითხვაზე, ხომ არ განიხილავს ბიზნესასოციაცია მთავრობასთან ერთად ქართული ავიაკომპანიისთვის შეღავათების დაწესებას, ვგულისხმობთ იმას, რასაც „ჯორჯიან ეარვეიზი“ წლებია ითხოვს, საუბარია მთავრობის მხრიდან სუბსიდირებაზე, ვეფხვაძე განმარტავს, რომ ეს უნდა განიხილოს მთავრობამ „აირზენასთან“ ერთად.

– მნიშვნელოვანია „აირზენამ“ თავად დააფიქსიროს, რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდება. მე პირადად, ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ თუკი იქნება სხვადასხვა შემოვლითი რეისი, ის სახელმწიფომ დაასუბსიდიროს. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ ტურისტული ნაკადი საქართველოში რუსეთიდან კვლავ შემოვიდეს, – აცხადებს ვეფხვაძე.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ხომ არ დააპაუზებს შექმნილი სიტუაცია უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, ვეფხვაძე განმარტავს, რომ ტურისტულ ინდუსტრიაში უცხოელ ინვესტორებს შესაძლოა გარკვეული კითხვები ჰქონდეთ, რადგან მათთვის ყველაზე მთავარია მდგრადობა და განჭვრეტადობა. „ბუნებრივია, როდესაც ეს ორი მომენტი შემცირებულია, ინვესტორი რისკებს აფასებს და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციის განხორციელებაზე. ამ ინდუსტრიაში სიმშვიდისთვის კი მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმა, რომელიც ეკონომიკურმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა საქართველოში ფრენები აკრძალა. შესაბამისი დადგენილება კრემლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. პუტინის ბრძანების მიხედვით, რუსულ ავიაკომპანიებს საქართველოსა და რუსეთს შორის ავიამიმოსვლის განხორციელება 2019 წლის 8 ივლისიდან აეკრძალებათ. კრემლი ასევე აძლევს რეკომენდაციას ტუროპერატორებს, აღნიშნული პერიოდიდან შეაჩერონ მომსახურების გაწევა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განმარტებით, ამ შეზღუდვის მიზანი რუსეთის ეროვნული ინტერესებისა და რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვაა.

**კომერსანტი**

# „რუსული სანქციის“ ქვეშ მოყოლილი ღვინის კომპანიები აცხადებენ, რომ „როსპოტრებნადზორი“ ტყუის



ცოტა ხნის წინ „როსპოტრებნადზორის“ ოფიციალურ საიტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რვა ქართულ კომპანიას რუსეთში ალკოჰოლის შეტანა აეკრძალა.

უფრო ზუსტად, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ დაწესებული ე.წ. ტურისტული ემბარგოს შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ზედამხედველმა უწყებამ („როსპოტრებნადზორი“) საქართველოდან ექსპორტირებული ალკოჰოლური სასმელების ხარისხის კონტროლის გამკაცრება დააანონსა. მიზეზად ხარისხის გაუარესება დაასახელა. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში კი კონკრეტულად რვა ღვინის მწარმოებელს ექსპორტიც აუკრძალა.

„კომერსანტი“ ქართულ კომპანიას დაუკავშირდა, რომლებიც „რუსული სანქციის“ ქვეშ მოყვნენ. როგორც აღმოჩნდა, უმრავლესობამ ჩვენგან გაიგო ახალი ინფორმაცია, ნაწილი კი უბრალოდ ჩვენს ზარებს არ პასუხობს:

**„ბაგრატიონი 1882“-ის მარკეტინგის მენეჯერი, ირაკლი წერეთელი:**

– ჩვენი პასუხი ასეთია. ერთი კონკრეტული შემთხვევაც კი, რომ გაგვიგზავნია პროდუქცია და რაიმე პრობლემის გამო უკან დაგვიბრუნდა, არ გვქონია. რუსეთმა აქამდე ყველა ჩვენი ტვირთი მიიღო.

კითხვაზე, რატომ მოვხვდით მაშინ ამ სიაში – გვიპასუხეს – „ეს ჰკითხეთ მას, ვინც ამ სიაში მოგვახვედრა“.

**ღვინის მწარმოებელი ბრენდი „ბატონო“:**

– ამ თემაზე კომენტარის გაკეთება 2-3 დღის განმავლობაში არ შეგვიძლია, რადგან ახლა, სწორედ თქვენგან გავიგეთ. პირადად ჩვენ არანაირი შეტყობინება არ მიგვიღია რუსეთის შესაბამისი ორგანოდან, ამიტომ ვერ გეტყვით. ზოგადად კი ჩვენი ექსპორტის 60% სწორედ რუსეთზე მოდის.

ღვინის მწარმოებელი ბრენდი „კახური ტრადიციული მეღვინეობა“.

– კომპანიაში კომენტარის გაკეთებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავეს, დანარჩენ ხუთ კომპანიასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, ჩვენს ზარებს არ პასუხობენ.

შეგახსენებთ, კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც „როსპოტრებნადზორის“ ინფორმაციით, ვერ აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს, შემდეგია: „ბაგრატიონი 1882; „ბოლერო ენდ კომპანი“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „ბადაგონი“, „ქართული ღვინის სახლი“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“, „ბატონო“.

რაც შეეხება ზოგად შეფასებას „როსპოტრებნადზორის“ მხრიდან, ყველა ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი დარწმუნებულია, რომ მსგავსი რეაქცია პუტინის განცხადებების შემდეგ მოსალოდნელი იყო.

**„მარადიული მარანის“ დამფუძნებელი გიორგი ქემერტელიძე:**

– აბსურდია, თითქოს ხარისხი გაუარესდა და ამიტომ ამკაცრებენ მოთხოვნებს. ცნობისთვის, ადგილობრივ ლაბორატორიაში ყველაზე მკაცრად სწორედ რუსეთში გასატანი ღვინო კონტროლდება (ცალკე საკითხია, იქ ფალსიფიცირებული პროდუქტი რომ მაინც ხვდება და ზოგადად ჩვენთანაც უფრო თუ გამკაცრდება. ეს სხვა თემაა). ამიტომ, ცალსახაა პუტინის სანქციების მორიგი ტალღაა ახლა ეს განცხადება და, შესაბამისად, „როსპოტრებნადზორი“ ტყუის, რომ თითქოს ბოლო ორ წელში გაუარესდა ხარისხი. ამ მოცემულობაში ერთადერთი გამოსავალია ღვინის ბაზრის დივერსიფიკაცია. საჭიროა ახალ ბაზრებზე გავამახვილოთ ყურადღება და შედეგად, ჩრდილოეთი სათავისოდ ველარ გამოგვიყენებს.

**„რაჭული ღვინის“ დამფუძნებელი ომარ ჭელიძე:**

– მგონი ეჭვი არავის ეპარება, რომ ხარისხის გამკაცრება რუსეთის მხრიდან ეს მორიგი ნაბიჯია პუტინის პოლიტიკის და მეტი არაფერი. რაც შეეხება თავად პროდუქტის ხარისხიანობას, ზუსტად იგივე ხარისხია, რაც 2 წლის წინ, ამიტომ იტყუებიან.

**ამ თემაზე კომენტარი bmg.ge-თან „თბილღვინოს“ ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილმაც გააკეთა:**

– თუ ქართულ ღვინოს ემბარგო დაუწესდება ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება. ასეთ ფაქტს წარსულში უკვე ჰქონდა ადგილი და მათ შეუძლიათ ეს ბერკეტი ისევ გამოიყენონ. ჩვენ ხარისხზე არასდროს გვქონია მათთან პრობლემა; დღესდღეობით, ჩვენი პროდუქციის დაახლოებით 20% გადის რუსეთში ექსპორტზე. ვცდილობთ, რომ ჩვენს პორტფელში მათი წილი მაქსიმალურად დივერსიფიცირებული იყოს და ეს 20-25%-ს არ სცდება. დარგმა ეს ერთხელ გადაიტანა და კიდევ ერთხელ გადაიტანს. ძალიან სამწუხარო იქნება, მაგრამ არ ველი, რომ ეს მოხდება.

რამდენად არის ქართული ღვინო დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე? - როგორც გაირკვა, რუსეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბაზარია, რასაც სტატისტიკაც ადასტურებს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან მსოფლიოს 39 ქვეყანაში 33,6 მლნ ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 87 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. 2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან რუსეთში 21.372.581 ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა, რაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 5%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

**2019 წლის იანვარ-მაისის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეული ასე გამოიყურება: (ბოთლი)**

რუსეთი – 21.372.581; უკრაინა – 3.080.562; ჩინეთი – 2.972.733; პოლონეთი – 1.540.182; ყაზახეთი – 1.223.256

რაც შეეხება 2018 წლის სრულ მონაცემებს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შარშან საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86,2 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გავიდა ექსპორტზე, რაც ბოლო თითქმის 30 წლის რეკორდული მაჩვენებელია. სააგენტოს ინფორმაციით, ზრდამ 2017 წელთან შედარებით 13 პროცენტს მიაღწია, ექსპორტირებული ღვინის ღირებულება კი 203 მლნ აშშ დოლარია, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ით არის გაზრდილი.

**2018 წლის ექსპორტიორი ქვეყნების ათეული: (ბოთლი)**

რუსეთი – 53.682.627; უკრაინა – 10.687.835; ჩინეთი – 6.951.019; ყაზახეთი – 3.599.143; პოლონეთი – 3.508.122; ლატვია – 1.711.078; ბელორუსი – 1.606.002; ესტონეთი – 581.190; ლიეტუვა – 488.154; გერმანია – 483.791

ცნობისთვის, მილსადენის აფეთქებიდან ერთ თვეში – 2006 წლის მარტში, რუსეთმა ემბარგოს არეალი გააფართოვა და საქართველოდან ღვინის ექსპორტი აკრძალა. ამ პერიოდისთვის მთლიანი ექსპორტის 20% ანუ 153 მილიონი დოლარი სწორედ რუსეთზე მოდიოდა. ბლოკადის შედეგად, პირველივე წელს ექსპორტი განახევრდა. ემბარგო გახდა სიგნალი ქართველი მეწარმეებისათვის და ბევრი მუშაობის შედეგად რუსეთის წილი ქართულ ექსპორტში 2%-მდე დაეცა.

**კომერსანტი**

## ეკონომიკის მინისტრი ტურიზმის სექტორის რეკომენდაციებს ელოდება



სასტუმროებისა და რესტორნების ასოციაციის დამფუძნებლის შალვა ალავერდაშვილის ინიციატივით, ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ.

შეხვედრას ბიზნესის ასამდე წარმომადგენელი ესწრებოდა.

სასტუმრო ციტრუსში კერძო სექტორის შეკრების მიზანი რუსული კომპანიებისთვის – საქართველოში და ქართული ავიაკომპანიებისთვის რუსეთში ფრენების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაა.

როგორც შალვა ალავერდაშვილმა BM.GE-ისთან საუბრისას აღნიშნა, მას გუშინ, 18:00 საათზე ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავასთან შეხვედრა ჰქონდა, სადაც მინისტრი კერძო სექტორის ინიციატივებს ელოდებოდა იმის თაობაზე, ამ პერიოდში განსაკუთრებით რა მიმართულებით შეიძლება ქართული ტურიზმის ინდუსტრიისთვის მხარდაჭერა.

**BMG**

## იანვარ-მაისში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 138.7%-ით გაიზარდა

იანვარ-მაისში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 138.7%-ით გაიზარდა.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-მაისში საქართველოში 614.101 მლნ კვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე (585.959 მლნ კვტ.სთ) 4.8%-ით მეტია.



2019 წლის პირველ ხუთ თვეში იმპორტი რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან განხორციელდა. კერძოდ, იანვარ-მაისში რუსეთიდან 74.431 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია შემოვიდა, რაც 2018 წლის 5 თვის მაჩვენებელზე (31.177 მლნ კვტ.სთ) 138.7% მეტია.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, ამ ქვეყნიდან 2019 წლის იანვარ-მაისში 539.67 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია შემოვიდა. ეს რიცხვი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე (510.459 მლნ კვტ.სთ) 5.7%-ით მეტია.

იმპორტი თვეების მიხედვით (2019 წელი):

იანვარი – 181.673 მლნ კვტ.სთ; თებერვალი – 142.494 მლნ კვტ.სთ; მარტი – 208.869 მლნ კვტ.სთ; აპრილი – 80.840 მლნ კვტ.სთ; მაისი – 0.225 მლნ კვტ.სთ.

**BMG**

# სააპელაციო სასამართლომ 20 ივნისის აქციაზე დაკავებული 6 პირი სამართალდამრღვევად ცნო

## ისინი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს



20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე დაკავებულები რევაზ აბდალოვი, რატი დემეტრაშვილი, ტარიელ ნაჭყებია, საბა დემეტრაშვილი, ილია მეტრეველი და დავით ტყებუჩავა თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა ყველა დარბაზიდან გაათავისუფლა.

კერძოდ, მოსამართლე ნინო ყანჩაველმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებმა ჩაიდინეს სამართალდარღვევა და 4-4 დღე-ღამით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ, რაც მათი დაკავების მომენტიდან აითვალა. შესაბამისად, დაკავებულები დარბაზიდან გაათავისუფლა.

20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე დაკავებულ პირებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლების დარღვევას ედავებიან, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

# პროკურატურამ აქციაზე სამართალდამცავთა უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

20-21 ივნისს რუსთაველის გამზირზე აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

ამის შესახებ გუშინ, 24 ივნისს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

საგამოძიებო უწყება ხალხს მიმართავს, მათ ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულება მიაწოდონ გამოძიებას, რათა სამართლებრივი რეაგირება დროულად მოხდეს.

– 2019 წლის 20-21 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო.

საქმეზე ტარდება ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება აქციის ცალკეულ მონაწილეთა მიმართ სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური ძალისა და კანონით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს, უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტების სრულყოფილად გამოძიების მიზნით.

საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად უკიდურესად მნიშვნელოვანია შეიქმნას მომხდარის სრული სურათი, რათა რეაგირების გარეშე არ დარჩეს არც ერთი მცირედი სამართალდარღვევაც კი.

ამ მიზნით პროკურატურა თხოვნით მოგმართავთ, რომ ჩვენ მიერ საპროცესო ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ფოტო-ვიდეო მასალის გარდა, მოგვაწოდეთ თქვენს ხელთ არსებული ნებისმიერი მტკიცებულება, რათა გამოძიებით გამოკვეთილ ყველა გადაცდომასთან და დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.




ამასთან, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური გამჭვირვალობა და საგამოძიებო პროცესის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობა, საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოთქვამს მზადყოფნას, პროცესში ჩართოს საქართველოს სახალხო დამცველი იმ ფარგლებში, რაც საჭირო იქნება გამოძიებაში ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობის ფუნქციის სათანადოდ განსახორციელებლად, – აცხადებენ გენერალურ პროკურატურაში.

***

10 სამართალდამცველს, რომელიც მონაწილეობდა აქციის დაშლის ოპერაციაში, უკვე შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მამუკა ჭელიძემ ბრიფინგზე განაცხადა.

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2019 წლის 20-21 ივნისს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მშვიდობიანი აქცია, რამაც მოგვიანებით, შეიძინა ძალადობრივი ხასიათი – აქციის მონაწილეები შეეცადნენ პარლამენტის შენობის შტურმით აღებას, ჯგუფურად თავს დაესხნენ პოლიციელებს და სხვადასხვა ბლაგვი საგნის გამოყენებით გაუწიეს მათ წინააღმდეგობა.

მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, აქციის დასაშლელად, პოლიცია იძულებული გახდა, გამოეყენებინა კანონით განსაზღვრული სპეციალური საშუალებები.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს აქციის დაშლის დროს ცალკეულ სამართალდამცველთა მხრიდან შესაძლო გადაცდომების მოკვლევას.

შესწავლის ფარგლებში, ამ ეტაპზე, 10 სამართალდამცველს, რომელიც მონაწილეობდა აქციის დაშლის ოპერაციაში, უკვე შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება.

ამ ეტაპზე, მათ შორის 2 სამართალდამცველის ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. შესაბამისად, აღნიშნული მასალები რეაგირების მიზნით გადაიგზავნება გენერალურ პროკურატურაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და გენერალურ პროკურატურას მიაწოდოს მოკვლევის პროცესში მოპოვებული ყველა მასალა, – განაცხადა ჭელიძემ.

# ბათუმში 22-სართულიანი სახლის ლიფტის შახტში 9 ადამიანი ჩავარდა

## დაშავებულია 1 ადამიანი




ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე ლიფტის შახტში 9 ადამიანი ჩავარდა. მომხდარის შედეგად დაშავდა 1 ადამიანი.

ადგილობრივების თქმით, უსაფრთხოების ნორმები დაცული არ იყო, რადგან ლიფტს არ ჰქონდა კარი.

– გვარწმუნებდნენ, რომ ლიფტი იყო უსაფრთხო. თვითნებურად არ ვამუშავებდით, ერთი პირი დაჰყვებოდა სულ, სწორედ ისაა გადაყვანილი კლინიკაში. ლიფტი მესამე სართულიდან მოწყდა, ყველა შახტში ჩავცვივდით, მსუბუქი დაზიანებები მაქვს, ვითხოვ, მოაწესრიგონ ლიფტი და პასუხისმგებელმა პირებმა აგონ პასუხი, – განაცხადა მარიამ იაშვილმა.

22-სართულიანი შენობა, სადაც ლიფტი ჩავარდა, დაუსრულებელია. სახლში უკვე 1 წელია, 30-მდე ოჯახი ცხოვრობს.

მოქალაქეები სატვირთო ლიფტით სარგებლობდნენ, რომელსაც კარი არ აქვს.

სახლის მცხოვრებლები მომხდარზე პასუხისმგებლობას სამშენებლო კომპანიას აკისრებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

# ისანში მცირეწლოვანი ბავშვი მე-7 სართულიდან გადმოვარდა

ისანში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მეშვიდე სართულიდან მცირეწლოვანი ბავშვი გადმოვარდა და გარდაიცვალა.

ალნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116 -ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.




# რიყეზე ძლიერმა ქარმა კონსტრუქცია ჩამოშალა

## დაიღუპა 1 უცხოელი, 2 ადამიანი დაშავდა



თბილისში, რიყეზე უბედური შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, 2 კი დაშავდა.

ისინი სიმაღლიდან გადავარდნენ.

დაშავებულები საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. გარდაცვლილი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

ძლიერი ქარის შედეგად კონსტრუქცია ჩამოიშალა, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სიძის განზრახ მკვლელობის ბრალდებით სიმამრი დააკავეს



პოლიციამ დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

1943 წელს დაბადებულმა ბრალდებულმა თავის სიძეს ცივი იარაღით მიაყენა ჭრილობა. დაშავებული საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1943 წელს დაბადებული ა.ი. დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 24 ივნისს, ურთიერთშელაპარაკებისას, სიძეს – 1980 წელს დაბადებული ბ.ნ.-ს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილი ჯერ გარდაბანში მდებარე კლინიკაში, შემდეგ კი თბილისში, საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს,“ – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

## „საზოგადოება ითხოვს სამართლიანობას“ რუსეთის ქალაქებში საპროტესტო მიტინგები გაიმართა




„საზოგადოება ითხოვს სამართლიანობას“ – ამ სახელწოდების აქცია რუსეთის რამდენიმე ქალაქში გაიმართა.

მოსკოვში რამდენიმე ათასი ადამიანი პოლიტიკური რეპრესიების გასაპროტესტებლად გამოვიდა. ანალოგიური აქციები სანკტ-პეტერბურგში, ხაბაროვსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, როსტოვსა, სამარაში და სხვა ქალაქებში გაიმართა.

აქციის მონაწილეები პოლიტპატიმრების გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

მიტინგები ჟურნალისტ ივან გოლუნოვის სისხლის სამართლებრივი დევნის ფონზე დაიგეგმა. ორგანიზატორების განცხადებით, გოლუნოვის გათავისუფლებით სამოქალაქო საზოგადოებამ მხოლოდ ერთი უდანაშაულო ადამიანის გათავისუფლებას მიაღწია, ათასობით აქტივისტი კვლავ პატიმრობაში რჩება.

## გროზნო: თავდასხმა პოლიციელებზე



გროზნოში პოლიციელებზე თავდასხმა მოხდა. რამზან კადიროვის რეზიდენციის მახლობლად მათ თავს დაესხნენ უცნობი პირები.

თავდასხმის შედეგად 2 პოლიციელი დაიჭრა. ლიკვიდირებულია 1 თავდამსხმელი. დანარჩენები გაიქცნენ.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გროზნოს აქცია მისი ნახელავია.

## დათვის ბელის დაუნდობელი მკვლელობა ვიდეოზე გადაიღეს



ირანის პროვინცია მაზანდარანში სოფლის მცხოვრებლებმა დათვის ბელი ქვებით ჩაქოლეს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ ესვრიან მოზრდილ ქვებს მამაკაცები დათვის ბელს. კადრს მიღმა ისმის ქალის ხმა, რომელიც მათ სთხოვს, რომ შეჩერდნენ. შემდეგ ერთიანად დასისხლიანებულ და დაუძლურებულ პატარა ცხოველს სატვირთო მანქანის საბარგულში სვამენ. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ბელი მძიმედ სუნთქავდა, ხოლო პირი სისხლით ჰქონდა სავსე, ასევე ცალი თვალითაც ველარ ხედავდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოფლის მცხოვრებლებმა ერთ მომენტში სატყეო სამსახურის წარმომადგენლები გამოიძახეს, თუმცა, როდესაც ვეტერინარებს დათვის ბელის დათვალიერების საშუალება მიეცათ, ის უკვე მკვდარი იყო.

ერთ-ერთი მამაკაცი, რომელიც ბელს ქვებს ესროდა, დაპატიმრებულია. მეორემ მიმალვა მოასწრო. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

## ერდოღანმა სტამბოლი კატასტროფულად წააგო

სტამბოლის განმეორებითი არჩევნები თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანისთვის კოშმარული შედეგით დასრულდა და ოპოზიციის ლიდერმა ექრემ იმამოღლუმ ამჯერად გაცილებით შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი 54%-იანი უპირატესობით ლიდერობს და სახელისუფლებო კანდიდატს, ყოფილ პრემიერ ბინალი ილდირიმს 775.000 ხმით უსწრებს, მარტის არჩევნებზე სხვაობა მხოლოდ 13.000 ხმა იყო.



ანკარა თურქეთის დედაქალაქად თითქმის 1 საუკუნის წინ 1923 წელს გამოცხადდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სტამბოლი თავისი ზომიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ისეთივე, ან შეიძლება უფრო მეტ მნიშვნელობას ინარჩუნებს თურქეთისთვის, როგორც ნიუ-იორკი აშშ-ისთვის. სწორედ ამიტომ, სტამბოლში ნებისმიერი ტიპის არჩევნებში გამარჯვებას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია.

31 მარტის ადგილობრივით თვითმმართველობის არჩევნებში, მთლიანობაში ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ“ გაიმარჯვა, თუმცა ერდოღანმა დათმო ყველა დიდი ქალაქი, მათ შორის ანკარა და სტამბოლი. სტამბოლში შედეგები გაუქმდა და განმეორებითი არჩევნები დაინიშნა, რაც ერდოღანისთვის ბევრად უფრო უსიამოვნო შედეგით დასრულდა.



თურქეთი დემოკრატიის ოაზისად არასდროს მიიჩნეოდა, მაგრამ სიტუაცია 3 წლის წინ გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდეგ დამძიმდა, რასაც 40.000-ზე მეტი ადამიანის დაპატიმრება და 160.000-ზე მეტის სამსახურიდან გაშვება მოჰყვა.

ამ ყველაფერს კი შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაუარესებაც დაერთო თან. რუსული საზენიტო-სარაკეტო საშუალებების ეს 400-ების შეძენის გამო, ვაშინგტონმა ანკარას მეხუთე თაობის გამანადგურებლების ეფ 35-ების გადაცემაზე უარი უთხრა.

## რაზე ისაუბრებენ ტრამპი და პუტინი?



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პუტინთან მომავალ შეხვედრაზე დაწვრილებით ისაუბრა. ტრამპმა განაცხადა, რომ ყველა საჭირბოროტო საკითხს განიხილავენ, დაწყებული ირანით და დამთავრებული უკრაინით.

– მოვითხოვ, რომ ქერჩის სრუტეში დატყვევებული უკრაინელი მეზღვაურები დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ! – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს. კერძოდ, საუბარია რუსეთის აგრესიაზე ამ ქვეყნის მიმართ, დონბასის ომზე, რუსეთის მიერ ყირიმის დაპყრობაზე და ა.შ.

– 2020 წლის ამერიკულ არჩევნებში რუსების შესაძლო ჩარევის შესახებ თუ ისაუბრებთ? – შეეკითხა წამყვანი.

– რაკი ასე გსურთ, ამ შეკითხვას აუცილებლად დავუსვამ, – გაიცინა ტრამპმა.



## ეთიოპიაში გენშტაბის უფროსი მოკლეს

ეთიოპიაში, ამხარის პროვინციაში ჯარისკაცების ჯგუფმა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს დაკავება სცადა. მეომრების მეორე ნაწილმა მათ ხელი შეუშალა. ატყდა სროლა.

– პუტჩი ჩახშობილ იქნა, – განაცხადა ეთიოპიის პრემიერ-მინისტრმა აბი ახმედმა.

სროლის შედეგად არის მსხვერპლი. მოკლულია ეთიოპიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ყოფილი მედდა ქალების ინტიმური სურათების შესაგროვებლად თავს მამაკაცად ასაღებდა

შოტლანდიის ქალაქ კილმარნოკის მცხოვრებ ქალბატონს, ყოფილ მედდა ადელ რენის, რომელიც თავს მამაკაცად იმისთვის ასაღებდა, რომ ქალების ინტიმური ფოტოები მოეპოვებინა, განაჩენი გამოუტანეს.

2018 წლის ბოლოს ქალი ანალოგიური დანაშაულების სერიისთვის 22-თვიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა, სამი თვის შემდეგ კი ხელი ისევ ძველ საქმეს მოჰკიდა. 2019 წლის იანვარში 18 დღეში მან კიდევ ოთხი ქალი მოატყუა, რომლებიც ინსტაგრამსა და ტინდერში გაიცნო. რენი მათ მამაკაცის სახელით წარუდგა, უმტკიცებდა, რომ იურისტად მუშაობდა, ხოლო სატელეფონო საუბრის დროს ხმის ტემბრის შეცვლის სპეციალურ მოწყობილობას რთავდა.

ოთხივემ ქალს პირადი ინფორმაცია გაანდო და ფოტოსურათები და ვიდეო გაუგზავნეს. მიმოწერის დასრულების შემდეგ ერთ-ერთმა ქალმა იეჭვა, რომ მას უთვალთვალებდნენ და პოლიციას მიმართა. მას მოასმენინეს რენის შეცვლილი ხმა, რომელიც ადრინდელი გამოძიების დროს იყო გაკეთებული და მან მასში „იურისტი“ ამოიცნო.



სასამართლოზე რენმა დანაშაული აღიარა. ამჯერად მას სამი წლით პატიმრობა მიესაჯა, ხოლო თუ რა მიზნით ატყუებდა ის ქალებს, კვლავაც დაუდგენელი დარჩა.


## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ინდიანა ბითაძეს პეისერსელად აქცევს

ინდიანა პეისერსის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია, რომელიც გოგა ბითაძეს ეძღვნება. როგორც ირკვევა, ინდიანაპოლისელთა მიერ ბითაძის არჩევანს უამრავი სატელეფონო ზარი მოჰყვა სხვადასხვა კლუბებიდან.




ბითაძის არჩევას სოციალური თუ პროფესიული მედიის ნაწილი მწვავე კრიტიკით შეხვდა, ზოგი კი მსუბუქად პოზიტიური იყო. კლუბის პრეზიდენტ კევინ პრიჩარდისთვის კი მთავარი არგუმენტი ტელეფონების ზარები იყო.

ოთახში, სადაც ინდიანას სტაფი იყო დრაფტზე საომრად დაბანაკებული, როგორც კი გამოცხადდა, რომ მე-18 ნომრად გოგა აირჩიეს, ტელეფონი არ გაჩერებულა – ვინ რეკავდა? კლუბები, რომლებიც ბითაძით იყვნენ დაინტერესებულნი.

**კევინ პრიჩარდი:**

– ყველამ იცის, რომ ეს კარგი არჩევანია. როდესაც წამების მერე გირეკავენ ახალი შემოთავაზებით, ესე იგი სწორი არჩევანი გააკეთე. ასეთი დაინტერესება არასდროს მინახავს.

მისი თქმით, დაურეკეს სან ანტონიოდან, რომელსაც არჩევის მე-19 ნომერი ჰქონდა და დიდი ალბათობით, გოგას ირჩევდა. მას დაურეკეს პორტლენდიდან, რომელსაც 25-ე ნომერი ჰქონდა.

– იყო კიდევ ზარები სხვა კლუბებიდანაც. 3-4 კლუბი სულაც აგრესიულად იქცეოდა. როცა გოგა არ აიყვანა ბოსტონმა 14-ზე და არც დეტროიტმა 15-ზე, უკვე ვიცოდი, რომ ის უნდა აგვეყვანა მე-18 ნომრად. იშვიათად ნახავთ, რომ სკაუტები, კონსულტანტები, ასევე ლარი ბერდი და დონი ველში ერთმანეთს ეთანხმებოდნენ.

ეს იყო ჩემი ყველაზე იოლი გადაწყვეტილება დრაფტზე, კონსენსუსი ჩვეულებრივზე მეტი იყო. უარყოფითი გამოხმაურება იმდენად გოგას არ ეხებოდა, რამდენადაც სიტუაციას ცენტრის პოზიციაზე. გუნდს უკვე ჰყავს მაილს ტერნერი და დომანტას საბონისი. დომანტასი ისედაც მეტ სათამაშო წუთს ითხოვს. მაშ რა საჭიროა მესამე ასეთივე სტილის ცენტრი გუნდში?

პრიჩარდმა გამოსავალი მალე იპოვა:

– ტერნერი და საბონისი ცენტრის გარდა თავს მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც კარგად გრძნობენ. მათ, როგორც ჩანს, მომავალ სეზონში უფრო ხშირად მოუწევთ ერთად თამაში. 96 წუთია სულ ამ ორივე პოზიციისთვის, ბითაძეს კი ორივე მათგანის შეცვლა შეუძლია და როცა ის მოედანზე გავა, მეორე (ტერნერი ან საბონისი) მძიმე ფორვარდად გადავა.

– ეს 3 ერთად? ეჭვიც არ მეპარება. მე არ ვარ იმ ტიპის მენეჯერი, რომელიც მომგებიან ბიზნესს აკეთებს, გოგა პეისერსისთვის მჭირდება. მსურს ვნახო, როგორ განვითარდება ის ინდიანაში. მიხარია, რომ დომასი და მაილსი ორივე ინდიანაში გახდა კარგი კალათბურთელი და ისინი მხოლოდ 23 წლის არიან. მე ბითაძეც პეისერსელად მჭირდება.

როგორც ჩანს, გოგას პრიჩარდის ხელში როტაციაში ადგილი გარანტირებული აქვს, პრეზიდენტი კი ამ სამ ცენტრთან უახლოეს მომავალში განშორებას არ აპირებს.

# საქართველო ევროპულ თამაშებზე ყველას აოცებს

საქართველოს დელეგაციისთვის მინსკში მიმდინარე ევროპული თამაშების მე-2 დღე ასევე წარმატებული გამოდგა. 10 მედალს კიდევ 6 ჯილდო დაემატა – 2 ოქრო და 4 ბრინჯაო. ეს იმას ნიშნავს, რომ 2 დღის ჯამში მოპოვებულია ოქროს 5, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 8 მედალი, ჯამში – 16. ანუ, საქართველოს დელეგაციამ 2 დღეში მოიპოვა იმდენი მედალი, რამდენიც 4 წლის წინ ბაქოს პირველ ევროპულ თამაშებზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი, საქართველო მე-4 ადგილზეა რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის შემდეგ.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა სამბისტებმა, რომლებმაც 11 მედლით დაასრულეს შეჯიბრება, ვაჟთა შორის კი საუკეთესო შედეგი აჩვენეს. აღსანიშნავია, რომ ვაჟთა ნაკრების ცხრავე წევრმა შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა, რაც უნიკალური მაჩვენებელია. ამას დუმატეთ ნინო ოძელაშვილისა და ელენე ქებაძის მიერ აღებული ვერცხლის მედლები. აი, ასეთი შთამბეჭდავი შედეგი გამოიღო სამბოს ფედერაციის (პრეზიდენტი ავთანდილ ცინცაძე) და სამწვრთნელო შტაბის (მთავარი მწვრთნელი ჯონდო მუზაშვილი) მუშაობამ.

რაც შეეხება მე-2 დღის მედალოსნებს, ჩემპიონები გახდნენ ლევან ნახუცრიშვილი (74 კგ) და ბექა ბერძენიშვილი (+100 კგ). ლევანმა გადამწყვეტ შეხვედრაში ტიტულიანი რუსი მეტოქე სტანისლავ სკრიაბინი 5:1 დაჯაბნა, ბექა კი ფინალში მასპინძელთა გუნდის ლიდერს, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს იური რიბაკს დაუპირისპირდა და ვადაზე ადრე – 8:0 დაამარცხა. ამ ბრძოლას თვალი ლეგენდარულმა სპორტსმენმა და მოჭიდავემ, ალექსანდრ მედვედმა ადევნა და გამარჯვებულიც სწორედ მან დააჯილდოვა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გივი ნადარეიშვილმა (52 კგ), გენადი ჩირგაძემ (62 კგ) და პაატა ღვინიაშვილმა (90 კგ).

ასევე ბრინჯოს ჯილდო ერგო ახალგაზრდა და უდავოდ პერსპექტიულ ძიუდოისტს ლუკა მაისურაძეს (81 კგ). მან მესამე ადგილისთვის შეხვედრაში იტალიელი ანტონიო ესპოზიტო იპონით დაამარცხა. სამწუხაროდ, პრიზოირთა შორის ვერ მოხვდა ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73 კგ), რომელსაც პირველივე შეხვედრაში მიღებულმა ტრავმამ შეუშალა ხელი.

მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებენ ჩვენი მოკრივეები. გამარჯვებები მოიპოვეს სახილ ალახვერდოვმა (49 კგ), ლაშა გურულმა (64 კგ) და ნიკოლოზ ბეგაძემ (91 კგ).

ჰო, მე-2 ევროპულ თამაშებთან დაკავშირებით, მინსკის ცენტრში, ფანზონაში გაიმართა საქართველოს დღე და მასთან დაკავშირებული




არაერთი საინტერესო ღონისძიება. მათ შორის: სპექტაკლი-კონცერტი ანსამბლ „რუსთავისა“ და ნინო ქათამაძის შესრულებით, ფოტოგამოფენა, ქართული ანბანის წარდგენა-პრეზენტაცია, ქართული ცეკვის მასტერკლასი და სხვა. მონიტორზე გადიოდა ვიდეოკლიპი ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე, გამოფენილი იყო ბანერი ჩვენი სპორტის მიღწევებზე.

ფანზონაში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელი ლერი ხაბელოვი და საქართველოს ელჩი ბელარუსში ვალერი კვარაცხელია.

სეოკ-ის პრეზიდენტმა მოკლედ ისაუბრა ქართული სპორტის ოლიმპიურ წარმატებებზე, მეორე ევროპული თამაშების სტარტზე მიღწეულ შედეგებზე, შემდეგ კი სცენაზე უხმო ჩვენს სპორტსმენებს, რომლებმაც მინსკში სხვადასხვა ხარისხის მედლები დაისაკუთრეს. ლერი ხაბელოვმა მათ კიდევ ერთხელ მიულოცა წარმატება და სეოკ-ის სახელით გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

მინსკშივე გაიმართა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების რიგგარეშე გენერალური ასამბლეა, სადაც მომავალი, 2023 წლის მე-3 ევროპული თამაშების მასპინძლად პოლონეთის ქალაქი კრაკოვი გამოცხადდა.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლებმა კრაკოვის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# დინამომ ჩიხურა ბოლოს გატეხა



**დინამო (თბ)-ჩიხურა 1:0**

*თბილისი. დინამო არენა*

**1:0 ნინუა (80)**

**დინამო:** პერალესი, იაშვილი, მონხილი, მეჯუბი, კაპლიენკო (კობოური 28), ივანისენია (ქარდავა 60), პაპავა (კუხიანიძე 52), ნინუა, შენგელია, შულაია, კუტალია

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მამასახლისი (იონანიძე 84), მარკოზაშვილი, მაისაშვილი, მახარობლიძე, კორიფაძე, დეკანოიძე (ფანცულაია 72), სარდალიშვილი, ჩიკვაიძე (ჩიხლაძე 51), მეგრელიშვილი, კაშია

**გაძევება:** კაშია (87), ნინუა (89)

თბილისის დინამო საკუთარ მოედანზე საჩხერის ჩიხურას დაუპირისპირდა და მინიმალური ანგარიშით მოიგო. დინამოელებმა ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს. ჩიხურას დამარცხებით დინამომ ეროვნულ ლიგაში მოგებათა სერია 5 მატჩამდე გაზარდა. მას შემდეგ, რაც საბურთალომ და ბათუმის დინამომ ფრედ ითამაშეს, დედაქალაქელები ქულათა რაოდენობით კიდევ უფრო მიუახლოვნენ ლიდერებს.

მთელი მატჩის განმავლობაში გუნდები ნაკლებად ქმნიდნენ რეალურ საგოლე მომენტებს. პირველი საგოლე სიტუაცია მე-8 წუთზე მასპინძლებმა შექმნეს. მარჯვენა ფრთაზე გამწესებულმა ნოდარ იაშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, ახლო მანძილიდან კი ლევან კუტალიამ მეკარეს გაარტყა ბურთი. მომდევნო შეტევაში დინამოელთა ფორვარდის დარტყმა ამჯერად მცველმა უკუაგდო. მე-15 წუთზე ლევან შენგელიას სოლო რეიდი და დარტყმა დინო ჰამზიჩმა ბოლო წამს მოიგერია, მანვე მომდევნო მომენტში ნიკა ნინუას შორიდან დარტყმული უკუაგდო. ისევ დინამოელთა შეტევა და 37-ე წუთზე სტუმრები ორჯერ მიჯრით გადაურჩნენ გოლს. ჯერ ჩიხურას მეკარემ ვიქტორ მონხილის ძლიერი საჯარიმო კუთხურზე უკუაგდო, შემდეგ კი აბდელ მეჯუბის თავური ზევიდან გადაცდა საჩხერელთა კარს.

მე-2 ტაიმი გუნდებმა კიდევ უფრო დაბალ რიტმში დაიწყეს. მეორე ტაიმის შუაში გუნდებმა 2 საგოლე მომენტი უშედეგოდ გაცვალეს. მე-80 წუთზე საჩხერელთა კარში დანიშნული ჯარიმა დედაქალაქელებმა კარგად გამოიყენეს – ნინუას დარტყმულის წინაშე სტუმართა მეკარე უძლური აღმოჩნდა.

ამის შემდეგ მეორე ყვითელი ბარათი შოთა კაშიამ მიიღო, რამდენიმე წუთში კი ნინუამაც დატოვა მოედანი და გუნდებმა მატჩი კაცნაკლულმა ჩაამთავრეს.

**დილა-ვიტ ჯორჯია 2:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

**1:0 კოუგბენია (47), 2:0 გოშთელიანი (50)**

**დილა:** ბეგაშვილი, გიორბელიძე, მირცხულავა, ჩადუნელი, ნონდი, რაზმაძე, კოუგბენია (გაგნიძე 81), ფორტესი, კუცია (პაიმი 75), ნონიკაშვილი (ლემპტი 70), გოშთელიანი

**ვიტ ჯორჯია:** ისერგიშვილი, ლაცაბიძე, თათხაშვილი (გუგბერიძე 85), ნაჭყებია, ქისიევი, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი, ზარიძე (ვაზაგაშვილი 65), ვასაძე, მუსელიანი, მუჯირი (მუზაშვილი 56)

მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. გორის დილამ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე ვიტ ჯორჯია მიიღო და 2:0 დაამარცხა.

გიორგი დეკანოსიძის გუნდმა ანგარიში მეორე ტაიმის საწყის წუთებში გახსნა. 47-ე წუთზე გორელები დიდიე კოუგბენიამ დააწინაურა, ხოლო 3 წუთში ორამდე მასპინძელთა უპირატესობა ორამდე გურამ გოშთელიანმა გაზარდა.

ამ გამარჯვებით დილას 22 ქულა დაუგროვდა, გათამაშების ცხრილში მე-7 ადგილზე გადაინაცვლა, რაც ნიშნავს, რომ გასავარდნ ზონას ამ ეტაპისთვის თავი დააღწია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 19 | 12 | 3 | 4 | 36-23 | 39 |
| 2.დინამო (ბთ) | 19 | 12 | 2 | 5 | 31-18 | 38 |
| 3.დინამო (თბ) | 19 | 11 | 2 | 6 | 34-22 | 35 |
| 4.ტორპედო | 19 | 10 | 3 | 6 | 40-29 | 33 |
| 5.ლოკომოტივი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-23 | 26 |
| 6.ჩიხურა | 19 | 5 | 8 | 6 | 24-21 | 23 |
| 7.დილა | 19 | 6 | 4 | 9 | 21-22 | 22 |
| 8.სიონი | 19 | 6 | 4 | 9 | 23-47 | 22 |
| 9.რუსთავი | 19 | 3 | 6 | 10 | 21-34 | 15 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 19 | 4 | 2 | 13 | 11-26 | 14 |

# 20 წლამდე ნაკრები უკრაინაში მეორე ადგილზე გავიდა

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა გასული შეკრება სლოვენიაში დაიწყო, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილ საწვრთნელ ბაზაზე, დაბა პოდჩეტრტეკში ივარჯიშა. გლიგორიევიჩის გუნდმა სლოვენიის 18 და 20 წლამდელთა ნაკრებებთან თითო სპარინგ-მატჩი გამართა და ორივეში დამარცხდა. სლოვენიიდან ქართველებმა უკრაინაში გადაინაცვლეს და კიევის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშეს.

უკრაინაში გამართული ტურნირი ჩვენებმა მე-2 ადგილით დაასრულეს. პირველ მატჩში ჩვენები უკრაინის 18-წლამდე ნაკრებს შეხვდნენ და 72:56 დაამარცხეს, შემდეგი სლოვაკეთის 20-წლამდე ნაკრები იყო და მილოშ გლიგორიევიჩის გუნდმა 85:71 იმარჯვა. ქართველებმა ბოლო შეხვედრა უკრაინის 20-წლამდელთა ნაკრებთან გამართეს და დაძაბულ ბრძოლაში – 64:73 დამარცხდნენ. არადა, გლიგორიევიჩის შეგირდები მატჩის დასრულებამდე 6:30 წუთით ადრე 5 ქულით იგებდნენ – ვახტანგ გაფრინდაშვილის ზუსტი 3-ქულიანის შემდეგ ქართველები 61:56 დაწინაურდნენ და გამარჯვებას მიუახლოვდნენ. აქ კი უკრაინელებმა წუთშესვენება აიღეს და მოედანზე დაბრუნებულები შედეგიანად ათამაშდნენ. 7:0 გაქცევით უკვე მასპინძლები გავიდნენ წინ – 63:61. თუმცა, ლუკა კალატოზიშვილის ზუსტი გარღვევით ქართველებმა ანგარიში გაათანაბრეს.

თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე კალატოზიშვილი ვადიმ კოზაკზე მაშინ დაჯარიმდა, როდესაც 3-ქულიანს ესროდა. კოზაკმა სამივე საჯარიმო ჩააგდო, ქართველებმა შეტევა გააცუდეს და როცა უკრაინელებმა ისევ იხეირეს, ბოლო წუთი დაიწყო, ანგარიშში სხვაობამ კი 6 ქულას მიაღწია. საბოლოოდ ქართველები 9 ქულით დამარცხდნენ და კიევის საერთაშორისო ტურნირი მე-2 ადგილზე დაასრულეს.

უკრაინასთან საერთო შედეგიანობით საუკეთესო იყო აკაკი ფიფია, რომელმაც 13 ქულა, 8



მოხსნა და 3 ჩაჭრა მიითვალა. ბომბარდირი რატი ანდრონიკაშვილი გახდა 20 ქულით, რომელმაც 9 პასიც გაილო, თუმცა ბურთი 7-ჯერ დაკარგა, პლუს ბევრი სროლა აუცდა და ამიტომ მისმა ეფექტურობის ინდექსმა მხოლოდ 11 შეადგინა. 12 ქულა მიითვალა ვახტანგ გაფრინდაშვილმა.

საქართველოს ნაკრები სამშობლოში დღეს დაბრუნდება და განაგრძობს მომზადებას ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონისთვის, რომელიც 12-21 ივლისს პორტუგალიის ქალაქ პორტოში გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის დივიზიონში 21 გუნდია, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. საქართველო 6-გუნდიან, ც ჯგუფში მოხვდა შვედეთთან, ჰოლანდიასთან, ესტონეთთან, კოსოვოსა და სომხეთთან ერთად. თითო ჯგუფიდან პლეი ოფში 2 საუკეთესო გადის და აგრძელებს ბრძოლას ტურნირის სამეულში მოსახვედრად. გათამაშების ფორმატის თანახმად, ბ დივიზიონის საუკეთესო 3 გუნდი შემდეგი, 2020-21 წლების სეზონისთვის ელიტარულ, ა დივიზიონში იასპარეზებს.

# იაშაღაშვილი — გორგოძის მემკვიდრე



დასრულებული მსოფლიოს 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სიმბოლური ნაკრებიც დაასახელა. 8 ნომრის პოზიციაზე იოანე იაშაღაშვილი მოხვდა. ქართველმა მორაგბემ ყველა მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და სიმბოლურ ნაკრებში ადგილი დამსახურებულად მოიპოვა.

ვნახოთ, რას წერენ იაშაღაშვილზე:

— ჯორდან ჯოზეფი, პაუტისტა პედემონტი და პედულანი ბუთელეზი არამარტო კარგი მორაგბეები არიან, მათ სახელებს რამდენიმე წელში ხშირად გავიგებთ. სამივემ ტურნირი კარგად ჩაატარა, მაგრამ იაშაღაშვილი ამ ტურნირზე ყველაზე გამორჩეული იყო. მისი მობილურობა სულ ცოტა ხანში შეიძლება ეროვნულ ნაკრებშიც დააფასონ. მას შეუძლია მამუკა გორგოძის მემკვიდრე გახდეს მესამე ხაზში, რომელიც ნაკრებს წინ წაიყვანს.

სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:

15. იგნასიო მენდი (არგენტინა), 14. დონოვან ტაოფიფენუა (საფრანგეთი), 13. ფრეიზერ დინგუოლი (ინგლისი), 12. რიკუს პრეტორიუსი (სამხრეთ აფრიკა), 11. მატეო კარერასი (არგენტინა), 10. ლუი კარბონელი (საფრანგეთი), 9. ჯეიდენ ჰენდრიკსი (სამხრეთ აფრიკა);

8. იოანე იაშაღაშვილი (საქართველო), 7. ფრეიზე მაკრაიტი (ავსტრალია), 6. მატიას ჰადადი (საფრანგეთი), 5. ჯოელ კპოკუ (ინგლისი), 4. ჯეი ჯეი ვან დერ მეშტი (სამხრეთ აფრიკა), 3. ასენათი ნტალაბაკანიე (სამხრეთ აფრიკა), 2. ლაქლან ლორეგანი (ავსტრალია), 1. ანგუს ბელი (ავსტრალია).

# პოგბა მანჩესტერიდან მიდის



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა კლუბიდან ხელმეორედ წასვლასთან ძალიან ახლოსაა. პოლის ხედვები რომ კლუბის სამომავლო ხედვებს არ ეთანხმებოდა, ალბათ ეს ნათელი მას შემდეგ გახდა, როდესაც ფრანგმა ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რაიმე ახლის დაწყების დრო დადგა.

ცალსახაა, რომ პოგბას, ოლე გუნარ სოლსკიაერის და მისი სამომავლო გეგმების არ სჯერა, როგორც ჩანს, ფრანგი ევროპა ლიგაზე თამაშსაც ერიდება, ერიდება იმ კრიზისს, რაც ამ ეტაპზე ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბს აქვს. ეს მის საერთო მენტალიტეტზე როგორ აისახება, თავად განსაჯეთ — პოგბა გაქცევას ცდილობს!

აქამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, პოგბას იუნაიტედიდან წასვლას კლუბის მენეჯმენტი და თავად ოლე გუნარ სოლსკიაერიც დაბლოკავდა, მეტიც ნორვეგიელი და კლუბი ფეხბურთელს სრულ კომფორტს სთავაზობდა, გაზრდილი ხელფასი, კლუბში გავლენა, კაპიტნის სამკლაური — ალბათ მეტი რა უნდა ინატროს პოგბას დონის ფეხბურთელმა. თუმცა, არა, მას წასვლა მაინც სურს.

სწორედ ამ ყველაფრის ფონზე, კლუბმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სამომავლოდ კლუბისთვის იქნება ხელსაყრელი, სრულიად იუნაიტედის ხელმძღვანელობა სოლსკიაერის თაოსნობით მზადაა გუნდიდან პოგბა გაუშვას. დიდი ალბათობით ნახევარმცველი კარიერას ტურინის იუვენტუსში ან მადრიდის რეალში გააგრძელებს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი გარდაიცვალა

რეჟისორი და დრამატურგი სანდრო მრევლიშვილი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. საქართველოს სახალხო არტისტმა დააარსა თეატრ-სტუდია მეტეხის თეატრი, პირველი დამოუკიდებელი თეატრი ქართული თეატრის ისტორიაში „ძველი სახლი", ააშენა თეატრი „გლობუსი", ბოლოს კი თეატრი „რუსთაველის 19", რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.



ინფორმაცია სანდრო მრევლიშვილის გარდაცვალების შესახებ *რეჟისორმა* **ქეთი დოლიძემ** გაავრცელა:

„ღმერთო! სანდრო მრევლიშვილი გარდაიცვალა! წავიდა სანდრო მრევლიშვილი!

ჩემო მეგობარო! ერთგულო, ქართული თეატრის გულანთებულო მოღვაწე!

დიახ, ასე, ზუსტად ასე მოგმართავ, ჩვენი ძველი თეატრის ენით, რადგან შენ იყავი ის ერთ-ერთი — ბოლო მოჰიკანი, ვინც არასდროს ყრიდა ფარ-ხმალს!

რამდენი თეატრი გახსენი ჩემო სანდრო?

ველარც ვითვლი!

როგორი ბედნიერი ვიყავი, რომ ურთულეს წლებში შენ და მანანა მყავდით!

არ მახსოვს თუმანიშვილის თეატრი შენი თანადგომის გარეშე! იმ დღემდე, როცა ასეთი ტკივილი მომაყენეს!

სწორედ შენ ამოიღე ხმა პირველმა! შენ, ჩემი დიდი ოჯახის შვილო! მამაშენის, შენი დედის და ასეთი მამიდის პატრონი, სხვანაირი ვერც იქნებოდი!

მხოლოდ იმისთვის გიხდი ბოდიშს, რომ დანაპირები ვერ მოვასწარი შემესრულებინა და შენს თეატრში, ისევ ახალ თეატრში, დადგმა ვერ მოვასწარი!

გუშინ ვილაპარაკეთ!

აგერ ჩემი არტისტები და აგერ შენი ახალი პროექტი, დაგვიხმარეო!

თემო გოცაძის არაჩვეულებრივი პორტრეტია შენი ნამდვილი არსების გამომხატველი!

მშვიდობით, ჩემო დაუდგრომელო მეგობარო!

ყველაფრისთვის მადლობას გწირავ და ყოველთვის ჩემთან იქნებით, შენ და შენი ირმისთვალება მანანა!

**ლაშა ჩხარტიშვილი,** *თეატრმცოდნე*:

— გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რეჟისორი, თეატრების „მეტეხის ძველი სახლი", „გლობუსი" „რუსთაველის 19" დამაარსებელი, საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სანდრო მრევლიშვილი. თანავუგრძნობ ოჯახს, ნათესავებს, მის თეატრს „რუსთაველის 19", სტუდენტებს, მეგობრებს და ქართული თეატრის გულშემატკივრებს.

**ვანო ხუციშვილი,** *რეჟისორი*:

— ძალიან ვწუხვარ! ჩემი პედაგოგი სანდრო მრევლიშვილი გარდაიცვალა! ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მეგობრებს, მოწაფეებს და ქართულ თეატრს!

**სოფო მეძმარიაშვილი,** *თეატრის „რუსთაველის 19" მსახიობი:*

— „ჩემი თბილისი 70-იანი წლების ბოლოს დამთავრდა. ქალაქი ვითარდება ხან იქით, ხან აქეთ. ზოგს მოსწონს, ზოგს არა. თუ ის არ ჰგავს ჩემს ნოსტალგიას თბილისზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ვილანძღო. საინტერესოა თანამედროვე ქალაქი. ამბობენ საცობებია ქალაქშიო. ეს პრობლემა ევროპის სხვა დიდ ქალაქებსაც აწუხებს. თბილისი ჩემია, როგორიც არ უნდა იყოს. ერთადერთი, რაც არ მომწონს თანამედროვე თბილისში, თოხს მოწყვეტილი ხალხის მოძალება," — სანდრო მრევლიშვილი.

მე ვერ ვიპოვე სიტყვები რა დამეწერა, ძალიან ბევრი სისულელე ვწერე და ვშალე, ამიტომ ერთადერთი, რაც დამრჩა, ვთქვა, რომ ძალიან ძალიან მიყვარხართ! მადლობა ყველაფრისთვის.

**ანი ბებია**, *თეატრის „რუსთაველის 19" მსახიობი:*

— გარდაიცვალა დიდი ადამიანი, ჩემი რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი. ყველაზე სწორი და მართალი ადამიანი იყო. გული მტკივა, რომ აღარ არის, მის გამო, ჩემ გამო და თეატრის გამო, ბევრი დაგვაკლდება მეც და თეატრსაც, მიხარია, წიგნები რომ დაუტოვა მომავალ თაობას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# მოზარდს პირში აფეთქებულმა ელექტროსიგარეტმა კბილები დააკარგვინა



ამერიკის ნევადის შტატში მოზარდს პირში ელექტროსიგარეტი აუფეთქდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

17 წლის ოსტინ ადამსი მოწევისთვის თავის დანებებას ცდილობდა. დედამ კაილანი ბერტონმა შვილს ელექტროსიგარეტი უყიდა, რათა მას მოწევისთვის თავის დანებებაში დახმარებოდა. როდესაც მოზარდმა პირველად გასინჯა ელექტროსიგარეტი, ის პირდაპირ პირში აუფეთქდა.

— ოსტინი ოთახში პირზე ხელებაფარებული შემოვიდა, — იხსენებს დედამისი, — ის შოკში იყო და ვერ ლაპარაკობდა.

ბერტონმა ოსტინი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანა, სადაც მას აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ადამსმა მიიღო დამწვრობა, დაიზიანა ყბები, ასევე დაკარგა რამდენიმე კბილი. ამჟამად მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა ამ ინციდენტის შემდეგ საბოლოოდ თქვა უარი მოწევაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

25 ივნისისთვის



**ვერძი** — დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** — სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** — საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** — დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** — ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე — ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** — პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით — ფინანსური კუთხით. **სასწორი** — ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** — გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** — მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** — ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** — ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** — გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველად სატუსაღო, შემდგომ იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 2. ბუნებაში ყველაზე მეტად გავრცელებული ნაერთი; 3. გემის სამზარეულო; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. ტრაგედია „ოტელოს" პერსონაჟი; 6. მდინარე ამსტერდამში; 9. სამთო ინჟინერი; 10. მზის ირგვლივ მოძრავი მცირე პლანეტა; 11. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 14. რიტმული მოძრაობის ხელოვნება; 16. სატანვარჯიშო იარაღი; 18. სწრაფმავალი მოტორიანი, სპორტული ნავი; 20. მოხალისეთა ჯარი; 23. ფრანგი მეზღაპრე; 24. ბირთვული კვლევების საერთაშორისო ცენტრი შვეიცარიაში; 25. ლირიკული ხასიათის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მელოდია; 26. თიხის გამოსაწვავი ქურა.

**თარაზულად:** 7. პირფერული ქება, კომპლიმენტი; 8. უკიდურესი გატაცება რაიმეს რწმენით; 12. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 13. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 15. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 17. კათოლიკური ეკლესიის მეთვალყურე, მცველი; 19. ისტორიული ებრაული სახელმწიფო; 21. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 22. კომბინაცია პოკერში; 27. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე; 28. წარმოებაში რაიმე სახელოსნო საქმიანობაში გამოყენებული დამხმარე მასალა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ბრადიკარდია; 7. დუბაითი; 8. მზიური; 11. კლოოტსი; 12. კნუტი; 13. მეშჩანი; 17. კატარაქტი; 18. ეპისტროფი; 22. ბალანსი; 23. სარდინი; 24. ოპტატივი; 25. ლიპარიტი.

**შვეულად:** 1. დროზერა; 2. ნიტრონი; 3. ლითოსფერო; 4. პარდონ; 5. ეთნოსი; 9. კლონი; 10. სტომაქი; 14. საფრანგეთი; 15. კაშმილონი; 16. სინუსი; 19. გესტაპო; 20. დავოსი; 21. არწივი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ონისე; 2. იაკი; 3. კომპასი; 4. ანუკ; 5. ალაო; 6. კაა; 7. იანუსი; 8. საკე; 9. კარაკასი; 10. სკამი; 11. არიერგარდი; 12. კიი; 13. კატა; 14. ცარცი; 15. იმპოტენცია; 16. აგრა; 17. ინგრედიენტი; 18. მაიმუნი; 19. ერმიტაჟი; 20. მარაკანა; 21. აკონკაგუა; 22. ანაფორა; 23. ადის; 24. ვოლფრამი; 25. ნამცეცი; 26. ოდერი; 27. დოგი; 28. ია; 29. ამია; 30 არისა. **სურათებზე:** დანიელა ლოიდი; ერიკ ლამელა.

# რობერტ სტურუა: „გამოგიტყდებით, აგენტი ვარ!“



აცხადებს რეჟისორი რობერტ სტურუა და მის მიმართ დაწყებულ შეურაცხმყოფელ კამპანიას ეხმაურება:

– გამოგიტყდებით, აგენტი ვარ, რუსეთის აგენტი, პუტინის ჯაშუში!

ძვირად მივყიდე ჩვენ მტრებს უამრავი ქართული საიდუმლო, როგორიც არის:

1.პიესების არჩევა.

2.პიესის ჩანაფიქრის მოფიქრება.

3.მხატვართან და კომპოზიტორთან მუშაობა! რაშიც ორი ორდენი და 1 000000 რუბლი გადმომცეს, მერე ფეხსაცმელში დამალული შემდეგი ინფორმაცია გავაპარე ჩვენ მესაზღვრეებს და მებაჟეებს:

4.როლების განაწილების საიდუმლო.

5.მსახიობებთან მუშაობა: სახეების შექმნა, გმირების ფსიქოლოგიის ახსნა.

6.რეპეტიციებზე მსახიობების ჭირვეულობის ატანა, პუტინი აღფრთოვანდა და გასამრჯელოც მკვეთრად მომიმატა და: „მერე, მერეო?“ ვასწავლე.

7.გავანდე სპექტაკლის ქართული განათების სისტემა.

8.რეკლამის შექმნა. ძალიან მოეწონა ვოვას.

9.უვიცი კრიტიკოსების აბდა-უბდის გაძლება.

და რაც მთავარია:

10. დაუკავებელი მსახიობების აღელვებული და ნერვებმოსაშლელი ქალწულური გულწრფელი თეორია რეჟისორის უსუსურობაზე!

მოკლედ, ქვეყანა გავყიდე!

დამსაჯეთ, თუ შეგრჩათ იუმორი!

დანარჩენი საიდუმლო, ალბათ, ვინც იცის, იმას მოჰკითხეთ მთავრობას, ოპოზიციას, პარლამენტის წევრებს, ვინც არ აირჩიეს, იმათაც, და...

თავისუფლად მოსეირნე ტურისტებში მიმალულ აგენტებს!

# სამგლოვიარო განცხადებები

## „გახრილი ქედით“ განვლილი გზა ცხოვრებისა



*„ვინ გაუძლო ქვეყანაზე შენოდენა ტკივილს?“*
*ვახტანგ გოგოლაშვილი*

**26 ივნისი გიგლა აბდალაძის გარდაცვალებიდან მე-40 დღეა...**

ბატონი გიგლასადმი მიძღვნილი ჩვენი გამოსათხოვარი წერილის სათაურად და ეპიგრაფად შემთხვევით არ შევარჩიეთ ამონარიდები მისი უახლოესი მეგობრის, აწ გარდაცვლილი **ვახტანგ გოგოლაშვილის** ლექსიდან „მეგობრულად გიგლა აბდალაძეს“, რამეთუ ამ ლექსში, მეგობრისადმი გამჟღავნებულ სიყვარულთან ერთად, ნიშანდობლივადაა წარმოჩენილი ბატონი გიგლას ჭირთამძლევი ცხოვრების წახნაგები. ამაზე მეტყველებს მისი ცხოვრების გზის თუნდაც ეს ჩვეულებრივი ქრონოგრაფიული ჩანაწერი - **1952-2019**, მისი 70-წლიანი გარჯისა და ღვაწლის მაჩვენებელი. გავიხსენოთ მათგან რამდენიმე:

1952 წელს, **ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის** დასრულებისთანავე, იგი მუშაობას შეუდგა წყალტუბოს რაიონის **სოფელ მაღლაკის** საშუალო სკოლის **ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად** (1952-1954), თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ კი ჯერ მუშაობდა **№1 სტამბაში**, შემდეგ - გამომცემლობაში **„ტექნიკა და შრომა“** (1954-1957); საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილედ - **გამომცემლობაში „განათლება“**; 1958 წლიდან 90-იან წლებამდე იმოღვაწა **ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“** ტექნიკურ რედაქციაში, ამავე ჟურნალის ლიტერატურულ თანამშრომლად, კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგედ და რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. ამასთან ერთად, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში - „მნათობი“, „ცისკარი“, „დროშა“ და სხვ. - ქვეყნდებოდა მისი ლიტერატურული **რეცენზიები** და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემებისადმი მიძღვნილი **50-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი** (1963-1978). პარალელურად, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში და გახლდათ **საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი**.

თუმცა, როგორც ბატონი გიგლა აღნიშნავდა ხოლმე, მისმა „წვალებულმა“ ჟურნალისტურ-პუბლიცისტურმა გარჯამ ჭეშმარიტი გამართლება პოვა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო **ჟურნალში „რელიგია“**, რომლის დაარსებიდან (1992) დღემდე იგი მისი უცვლელი პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ. ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამ ჟურნალს სიცოცხლე, ფაქტობრივად, ბატონმა გიგლამ შეუნარჩუნა - თავისი საკვირველი დაუცხრომლობით, სანატრელი ერთგულებითა და ფინანსური თანადგომით..

მოგვიანებით უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის დაარსებულ **მართლმადიდებლურ ჟურნალ „ფუძის“** (2003-2011) დამფუძნებელმა, დეკანოზმა კონსტანტინე გიორგაძემ, ბატონი გიგლა სარედაქციო კოლეგიის წამყვან წევრად მიიწვია. ბატონმა გიგლამ, თავის კოლეგასთან, აწ გარდაცვლილ ქალბატონ **ნათელა ხურცილავასთან** ერთად, მართლაც აუწონავი ამაგი დასდო ჟურნალ „ფუძის“ ღვთივმოსაწონად წარმართვა-გამოცემის საქმეს. აქვე პერიოდულად იბეჭდებოდა ბატონი გიგლას ისტორიული და მემუარული პუბლიცისტური წერილების სერიები, რუბრიკებით: „საქართველოს ტაძრები“, „საქართველოს მეფენი“, „თავდადებული წმინდანები“, „სახელოვანი ქართველი ქალები“, „საქართველოს ნაკრძალები“, „გახსენება“, ასევე ცალკეული ნარკვევები თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა შესახებ.

გიგლა აბდალაძის პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას ამშვენებს მისი ასევე ნაყოფიერი საგამომცემლო საქმიანობა და ლიტერატურულ-მემუარული შემოქმედება. 2009 წლიდან ბატონი გიგლა შპს „გამომცემლობა დედაენის“ რედაქტორია. მისი ინიციატივით, რედაქტორობითა თუ საგამომცემლო მონაწილეობით მაღალაკადემიურ დონეზე მომზადდა და გამოიცა არაერთი ქართული ორიგინალური და ნათარგმნი ლიტერატურა, კერძოდ:

ძმის, პროკოფი აბდალაძისადმი მიძღვნილი მემუარული წერილების კრებული **„მეხსიერების ლაბირინთში“** (2007), ასევე მემუარული ჟანრის **„ფერისცვალების მოლოდინში“** - I (2015), II (2016); ისტორიული ჟანრის **„თაყვანსაცემი მანდილოსნები“** (2009); იგი არის **რედაქტორი: გიორგი გოგოლაშვილის** საბავშვო ლექსების კრებულისა **„ქოქოს ლექსები“** (2011); **გიორგი გიგაურის** პოეტური კრებულისა **„ბოლო აღმართი“** და 1935 წელს გამოცემული მარკიზ დე კიუსტინის ისტორიული ჟანრის თხზულების **„ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი“** განმეორებითი გამოცემისა (2008, გამ-ბა „ეთნოპოლიტიკა“). ამ და რამდენიმე სხვა გამოცემას ბატონი გიგლა ქალბატონ ნათელა ხურცილავასთან ერთად რედაქტორობდა.

თავდახრით ვმადლობთ უფალს, რომ ჩვენს მრავალწლიან საგამომცემლო საქმიანობასა და ყოველდღიურ ურთიერთობაში გვარგუნა ესოდენი პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით დაჯილდოებული ადამიანი **-ბატონი გიგლა აბდალაძე**, რომლის თანამონაწილეობითა და დამოძღვრით ჩვენ თვალწინ კეთილგონივრულად ხორციელდებოდა საქვეყნო და სამოყვასო საქმენი.

**უფალო იესუ ქრისტე,**
**აცხოვნე სული გარდაცვალებულისა მონისა ღმრთისა**
**გიგლა-გიორგისი. ამენ!**

**გამომცემლობა „დედაენისა“ და**
**ჟურნალ „რელიგიის“ თანამშრომლები**
**2019 წლის 25 ივნისი**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ალექსანდრე ზაზარაშვილი „უკრაინული ვოისის“ ნახევარფინალშია



ქართველი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი „უკრაინული ვოისის“ ნახევარფინალში გადავიდა. მან უკრაინელი მსმენელი კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა, ჟიური კი ისევ ატირა.

ალექსანდრემ ორ კონკურსანტთან ერთად ბიონსეს ცნობილი ჰიტი „ჰალო“ შეასრულა და თავისი სრულიად განუმეორებელი ვოკალით ნამდვილი ფურორი მოახდინა.

ნიჭიერმა მომღერალმა პროექტის რინგი მოიგო და ნახევარფინალში კუთვნილი ადგილი გაინაღდა.

# კავეამ რუსულენოვანი სეანსები გააუქმა

cavea CINEMAS

კინოთეატრების ქსელმა კავეამ რუსულენოვანი სეანსები კინოჩვენებიდან ამოიღო. ეს გადაწყვეტილება კინოთეატრების ქსელის ხელმძღვანელობამ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებთანა დაკავშირებით მიიღო, რაც მათი მხრიდან სოლიდარობის გამოხატვაა.

ამ ეტაპზე კომპანიაში არ შეუძლიათ დააკონკრეტონ, როდემდე არ იქნება ნაჩვენები რუსულენოვანი სეანსები და გაგრძელდება თუ არა საერთოდ.

კავეა საქართველოში კინოთეატრების ყველაზე დიდი ქსელია. მისი კინოთეატრები განთავსებულია თბილისში, გალერია თბილისი-ში, თბილისი მოლსა და ისთ პოინტში.

# თინათიან წულაძემ ჯვარი დაიწერა



სუხიშვილების მოცეკვავემ თინათინ წულაძემ და მისმა რჩეულმა გიორგი კოტეტიშვილმა ჯვარი დაიწერეს.

ჯვრისწერა უახლოესი ადამიანების ვიწრო წრეში შედგა, რომელსაც წინ უძღოდა ნიშნობა.

თინათინმა და გიორგიმ ჯვრისწერა ღია ცის ქვეშ აღნიშნეს და ფოტოები ინტერნეტში გაავრცელეს.

წყვილს ჯვრისწერა სოციალურ ქსელში უამრავმა ადამიანმა მიულოცა და ყველაფერი საუკეთესო უსურვა.

# თინა კანდელაკის განცხადებამ ქართველები გააღიზიანა



რუსეთში მოღვაწე ქართველი ტელეწამყვანის თინა კანდელაკის განცხადებამ ქართული საზოგადოება გააღიზიანა. ქართველების უმრავლესობამ მისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურა.

თინა ვლადიმერ პუტინის მიერ საქართველოში ფრენების აკრძალვასთან დაკავშირებით გამოცემულ განცხადებას ასე გამოეხმაურა:

– რუსეთს დასაკარგი არაფერი აქვს, ქართველებმა ტურისტები დაკარგეთ. გილოცავთ!

# დათა თავაძე ბერა ივანიშვილს აკრიტიკებს



რეჟისორი დათა თავაძე მომღერალ ბერა ივანიშვილს აკრიტიკებს და მის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება:

– ერთი ის მომწონს, „თქვენთან ვარ ძმებოო“ მობუყბუყე ჯაკუზიდან რომ დაწერა და მეორე ეს: „ჩვენ, დამოუკიდებლობის ხანაში დაბადებულები, არავის დავუთმობთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას და არავის დავანებებთ, ჯიჯგნოს მისი სხეული. მუდამ თქვენი ბერა“. ეუფ!

ბერა, გენაცვალე, მესმის რო თანატოლებთან გინდა თამაში, მარა, როგორ აგიხსნა, ისე არა ვართ ჩვენ ერთი თაობა, როგორც ბილ გეიტსი არაა ხრუშჩოვის დროს დაბადებული... ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გოგა ჩანადირი მზად არის, საქართველოს რეკლამირებაში აქტიურად ჩაერთოს




ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი მზად არის, საქართველოს რეკლამირებაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად ჩაერთოს:

– თანადგომა მხოლოდ პარლამენტის წინ დგომით ან ვიშვიშით არ გამოიხატება.

კრემლმა რუსეთის ტუროპერატორებსა და ტურისტებს მოუწოდა, საქართველოში მოგზაურობა-დასვენების გეგმები გაეუქმებინათ.

2006 წელსაც ასე დაგვარტყა რუსეთმა. როდესმე ხომ უნდა მივხვდეთ, რომ არც პოლიტიკურად, არც რელიგიურად, არც ეკონომიკურად ოკუპანტს არ უნდა მივეჯაჭვოთ?

მივმართავ ქართულ ტუროპერატორებს, სასტუმროებისა და ბარ-რესტორნების მფლობელებს, რაც შეიძლება მეტ ევროპელ და ამერიკელ ტურისტს გაუღეთ კარი, რაც შეიძლება მოქნილი და მისაღები ფასი შესთავაზეთ მათ, რაც შეიძლება მიმზიდველი იყავით მათთვის და ნუ იქნებით რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულნი.

პირადად მე, რითაც შემიძლია, გვერდით დაგიდგებით.

ამ მიზნით ფოტოგადაღება დაგჭირდებათ, მიმსახურეთ, საინფორმაციო მხარდაჭერა დაგჭირდებათ, მიმსახურეთ. საქართველოს ფოტოები დაგჭირდებათ, მიმსახურეთ.

ოღონდ, მიზანი იყოს რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება.

მივმართავ ასევე ჩემს ყველა კოლეგას, მხარი დაუჭირონ ამ იდეას.

# გიორგი კეკელიძე ძმები ხვადაგიანების გათავისუფლებას ითხოვს



ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე ისტორიკოსი ძმები ხვადაგიანების გათავისუფლებას ითხოვს:

– თუ ვინმეა ჩემთვის პროფესიონალიზმის, წესიერების და კანონმორჩილების მაგალითი, ეს ისტორიკოსი ძმები ხვადაგიანებია. ეს ბიჭები ეროვნული ბიბლიოთეკის ექსპერტები არიან შესაბამის საბჭოში, უამრავი ექსკლუზიური და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წიგნი და ნივთი შეგვინარჩუნებია საქართველოსთვის ერთად. ვერაფრით წარმომიდგენია, რა უნდა დაეშავებინათ ამ ადამიანებს, რომ დღეს, როგორც აქციის მონაწილეები, იზოლატორში სხედან. დიდი ინტერესით ველი პასუხს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7798 | ევრო — 3.1442 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5220 | 100 რუსული რუბლი — 4.4129 |

## ამინდის პროგნოზი 25 ივნისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“




25 ივნისიდან

ჟიულ ვერნი

20 000 ლიე წყალქვეშ

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამიკო, ყოველთვის მინდოდა მეკითხა შენთვის და დედიკოსთვის: ჩვენს ოჯახში ერთადერთი ბავშვი რატომ ვარ?

– იმიტომ, რომ შენი მშობლები საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ.

•••

საავადმყოფოში მთავარი ექიმი შემოვლაზეა და შევიდა პირველ პალატაში, ხედავს, ყველა თავშეხვეული წევს. პირველ პაციენტს ეკითხება:

– თავი რით გაგიტეხეს?

– ტაფით.

ეკითხება მეორეს:

– თქვენ რით გაგიტეხეს?

– ტაფით.

ეკითხება მესამეს:

– თქვენ რით გაგიტეხეს?

– ტაფით.

გაოცებული თანაშემწეს მიუბრუნდა და ეკითხება:

– ეს რა, რაიმე ახალი ეპიდემიაა?

– არა, ბატონო ექიმო... აი, იმ მამაკაცს ხომ ხედავთ, კომაში რომაა? ის თავის მეუღლეს გაურბოდა და შეეცადა, ხალხში დამალულიყო...

•••

სომეხი მუზეუმში ვენერა მილოსელის ქანდაკებას უყურებს და მერე თავისთვის ჩაილაპარაკებს:

– ნეტა რას ყიდდა ამისთანას, რომ ხელებიანად გამოგლიჯეს?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## არგენტინა კოპა ამერიკის მეოთხედფინალში ვენესუელას შეხვდება



არგენტინის ნაკრებმა ყატარის დამარცხება მოახერხა და 4 ქულით ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. ამრიგად, მიუხედავად ცუდი სტარტისა, არგენტინის ნაკრებმა მეოთხედფინალში გასვლა მოახერხა, სადაც მისი მეტოქე ვენესუელა იქნება.

შეხვედრა 28 ივნისს გაიმართება, თუმცა დაწყების ზუსტი დრო ცნობილი არ არის. შეგახსენებთ, რომ კოპა ამერიკის წინა ორ გათამაშებაში არგენტინის ნაკრებმა ფინალამდე მიაღწია, სადაც ორივეჯერ ჩილესთან დამარცხდა.

## ნეიმარი ბარსელონაში დასაბრუნებლად ყველაფერს აკეთებს



პსჟ-ს ბრაზილიელ ფორვარდს ნეიმარს ძალიან უნდა ბარსელონაში დაბრუნება და ის ამისთვის ყველაფერს აკეთებს.

ნეიმარი თანახმაა, რომ ბარსელონაში ნაკლები გასამრჯელო აიღოს, ვიდრე პსჟ-ში და ასევე ხმამაღლა თქვას, რომ მას ბარსელონაში დაბრუნება სურს. ნეიმარი რამდენიმე ყოფილ თანაგუნდელს შეეხმიანა და თავისი სურვილის შესახებ აცნობა.

ბარსელონა მზად არის, პსჟ-ს კოუტინიო დაუთმოს და 100 მილიონი ევრო გადაუხადოს ნეიმარის ტრანსფერში.

პსჟ-ს ჯერჯერობით ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

## რაფაელ ბენიტესი ნიუკასლიდან წავიდა



ესპანელი სპეციალისტი რაფაელ ბენიტესი ნიუკასლიდან წავიდა. ბენიტესს კონტრაქტი ამ ზაფხულს უმთავრდება გუნდთან და მან ახალ კონტრაქტზე უარი თქვა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რატომ მიიღო ბენიტესმა ეს გადაწყვეტილება, რადგან მას კომენტარი არ გაუკეთებია.

ბენიტესმა ნიუკასლი 2016 წელს ჩაიბარა და მასთან ერთად გუნდი ძირითადად პრემიერ ლიგის შუაში იმყოფებოდა.

ბენიტესი ცნობილი ლივერპულში მწვრთნელობით გახდა, სადაც მან 2005 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ესპანელმა სპეციალისტმა ბევრ სხვა გუნდშიც სცადა ბედი, მაგრამ მსგავს წარმატებას ვერსად მიაღწია.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იურგენ კლოპი: „ფეხბურთში ფულის გარეშე ვერაფერს მიაღწევ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თანამედროვე ფეხბურთზე ისაუბრა და თქვა, რომ ფულის გარეშე ამ სპორტში ვერაფერს მიაღწევ, რადგან ყველა კარგი ფეხბურთელი ძალიან ძვირი ღირს.

კლოპის თქმით, ადრე ფეხბურთში ამდენი ფული საჭირო არ იყო:

– როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, ან სამწვრთნელო კარიერას ვიწყებდი, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო და ფული ასეთ დიდ როლს არ თამაშობდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა და ლივერპულს წელს ბევრი ფული რომ არ დაეხარჯა, ვერაფერს მოვიგებდით. ეს არის რეალობა.

## მილანში სან სიროს დაანგრევენ და ახალ სტადიონს ააშენებენ

მილანმა და ინტერმა ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მალე სან-სიროს დაანგრევენ და მის მაგივრად ახალი სტადიონი აშენდება.




ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მოხდება ეს, მაგრამ სტადიონის დანგრევის შესახებ ინფორმაცია ორივე მილანურმა გუნდმა ოფიციალურად დაადასტურა.

სან სირო 1926 წელს ააშენეს და დღემდე ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სტადიონად ითვლება.

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. ჯინის და რომის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 2. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 3. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 4. ჩრდილო აფრიკის მოსახლეობის ძველი სახელწოდება; 5. ციმბირში გავრცელებული ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ფერწერული ტილო; 11. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 12. გუნდებად მცურავი ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 13. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ეგრისის მეფე; 19. ფეხბურთელთა სპორტული ფეხსაცმელი.

**თარაზულად:** 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 8. ყურანის ცალკეული თავი; 9. პირველი გერმანული ოპერა; !0. რეგიონი კახეთში; 11. ხორბლის ქართული ჯიში; 13. მდინარე ბოლნისში; 14. ხელოვნების მუზეუმი მადრიდში; 16. შიგაწვის ძრავის მოძრავი ცილინდრული ნაწილი; 18. პოლონელი კინორეჟისორი; 20. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასასჯელად; 21. მადრიდის „რეალის“ ფრანგი ფეხბურთელი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**


ხან ჩან ვან + მა ინ ლონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ







ჯიან პი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი




ბუი ფუ დი ჰუანგ ვან + ჩუნ ცაო

აუმჯობესებს პოტენციას







ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/